საერთო გაზეთი

№42 (775)
ოთხშაბათი
4 დეკემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.

დროა, საქართველო გამოცხადდეს მშვიდობის სახლად. ჩვენი იდეოლოგიური კონცეფცია არის მშვიდობა და ვინც საქართველოში მშვიდობას ემუქრება, ის საქართველოს ემუქრება განადგურებით. ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას ქვეყანაში და ჩვენ უნდა გადავრჩეთ, ეს ჩვენი ვალია და ეს ვალი თანამედროვე ქართულმა საზოგადოებამ აუცილებლად უნდა მოიხადოს.

ვახტანგ ხარჩილავა. „სგ“ №28. 2022წ.

„მშვიდობიან“ მიტინგზე ჩვენს თვალწინ ირღვევა:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები - 166, 166(2 პრიმა) 173, 177, 181(1 პრიმა);

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები - 117, 118, 120, 124, 126, 150, 151, 154, 156, 161, 187, 188, 222, 223, 224, 225, 236, 239, 239(1 პრიმა), 252, 310(2), 315, 317, 318, 343, 347, 353, 353(1 პრიმა), 359 (1 პრიმა), 387, 404, 405.

ამავდროულად, მიმდინარეობს გამოძიება და შიდაუწყებრივი მოკვლევა:

სისხლის სამართლის კოდექსის 333 მუხლი (უფლებამოსილების გადამეტება);

პოლიციის შესახებ კანონის 30, 31, 32, 32, 34, 35 მუხლები (იძულების ღონისძიებების დარღვევა).

facebook

რატი იონათამიშვილი: სახეზეა ბავშვის ექსპლუატაციის შემთხვევა

პარლამენტის შენობის მიმდებარედ, ჩვენ ვნახეთ სცენა, როგორ აქეზებდა ზრდასრული მამაკაცი არასრულწლოვან ბავშვს, ესროლა ქვები სამართალდამცველების მისამართით. უმძიმესი სანახავია, როგორ შეიძლება ბავშვი მიზანმიმართულად იქნეს გამოყენებული ვანდალური აქტის ჩასადენად და ამგვარად, მისი იარაღად გამომყენებელი სრულწლოვანი პირი ცდილობდეს პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას. ასეთ შემთხვევებს საზოგადოების მხრიდან აუცილებლად უნდა მიეცეს შეფასება და კვალიფიკაცია.

სახეზეა ბავშვის ექსპლუატაციის შემთხვევა. მისი ეკიპირება და “აღჭურვა“ გვაფიქრებინებს, რომ წინასწარ მომზადებულ, ორგანიზებულ ქმედებასთან გვაქვს საქმე. არამცთუ უგულებელყოფილია ბავშვის საუკეთესო ინტერესი, არამედ ძალადობის ჩასადენად მის გამოყენებას შეიძლება ბავშვის განვითარებაზე უმძიმესი შედეგები მოჰყვეს.

აქციის მონაწილეებს მოვუწოდებ, დარჩნენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, მეტად გაიაზრონ თავიანთი პასუხისმგებლობები და ის შედეგები, რაც შესაძლებელია, მათ მიერ ბავშვების ინსტრუმენტალიზებას მოჰყვეს.

ჯონდი ბაღათურია: მიმდინარეობს ომი საქართველოს და არა მთავრობის წინააღმდეგ

შინაგან საქმეთა სამინისტრო საზოგადოებრივ წესრიგს კი არ იცავს, არამედ იცავს სამშობლოს მტრის შემოსევისგან, არავითარი ფიგურალური გამოთქმა, პირდაპირი გაგებით, მტრის შემოსევისგან და არა შიდა, არამედ გარე მტრებისგან, რომლებიც შიდა მტრის სახელით მოქმედებენ.

P.S. რა სკვითი ან კიმერიელი და რა თათარ-მონგოლი, პაჭანიგი ან ყიზილბაში, ისინი, პატარა ბავშვებად ჩანან ამათთან შედარებით, ასეთი ცბიერი და ბოროტად გონიერი, შესაბამისად, ასეთი საშიში მტერი საქართველოს არ ჰყოლია. რეალურად, გლობალურ, „კონსოლიდირებულ ბოროტებას“ ვერბრძვით ახლა ქართველები.

როგორც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, ალეკო ელისაშვილმა ალი ბაბაევს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც მისი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო;

ადამიანს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში საქართველოს კეთილდღეობისთვის იღვწის;

ადამიანს, რომელიც ფილტვების ანთებით მოხვდა საავადმყოფოში საკაშვილის ხელისუფლების დროს, როცა დავით აღმაშენებლის ძეგლს ღამეებს უთევდა, რადგან მის ქალაქგარეთ გატანას აპირებდნენ;

ადამიანს, რომელსაც ზაქათალასა და კახში ქართული წიგნები ჩააქვს და კიდევ უამრავი ქვეყნის სასიკეთო ღირსეული საქმე აქვს გაკეთებული.

ჩვენ ვგმობთ ალეკო ელისაშვილის უღირს საქციელს და მის საკადრისად დასჯას მოვითხოვთ, ბატონ ალი ბაბაევს კი გამოჯანმრთელებას და მწყობრში მალე ჩადგომას ვუსურვებთ, რათა ჩვეული ენერგიით განაგრძოს საქართველოს უანგარო მსახურება.

„საერთო გაზეთი“

დავით ქართველიშვილი: ჩვენ საკუთარი საჭადრაკო პარტია უნდა მოვიგოთ!

უამრავი გზავნილი მივიღე მესენჯერით. ძირითადი პათოსი ეხებოდა საინფორმაციო დეფიციტს ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით. იყო უამრავი დასტური იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი “კონტრ-ცუნამი” სრულ მზადყოფნაშია. ამის საჭიროება არაა მეგობრებო. მიმდინარეობს ტაქტიკური ბრძოლა, რომლის ცალკეული ელემენტების გასაჯაროება მოწინააღმდეგის წისქვილს აამუშავებს. მეტი ნდობა და რწმენა - საჭადრაკო დაფაზე მათი “ჩაპაევის” წინააღმდეგ მოქმედებაშია მოყვანილი სულ სხვა ფიგურები.

ერთი წამით არ გაიფიქროთ, რომ ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს “უსუსურობას” თუ “გაურკვევლობას”. იმ დოზებით მინიშნებები, რომელსაც ყოველდღიურად ვიგებთ - გააზრებისთვის სავსებით საკმარისია. დღეს ერთ-ერთს ჰქონდა ადგილი პრემიერის ბრიფინგზე - აშშ-ის 47-ე პრეზიდენტის გუნდის წევრებთან შედგა არაფორმალური კომუნიკაცია და მორიგი უახლოეს მომავალშიც შედგება. თეთრი სახლის მომავალი ადმინისტრაცია ინფორმირებულია ხელისუფლების მიმდინარე და სამომავლო გეგმებზე.

რუსთაველზე განვითარებული მოვლენები ამ მარტივ მოცემულობებს - ამერიკის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას, უკრაინაში მიმდინარე ომის დასრულებას - ვეღარ შეცვლიან. ამ პერიოდის ხორცშესხმამდე ჩვენ, უბრალოდ, გვართებს, ამ თავსმოხვეულ “ჩაპაევში” საკუთარი საჭადრაკო პარტია მოვიგოთ. და ეს პარტია უკვე ამოქმედებულია - მის ცალკეულ დეტალებს ჩვენ ამოვიცნობთ კიდეც და საჭიროების შემთხვევაში, განვმარტავთ. უბრალოდ - მეტი ნდობა და მეტი რწმენა.

ყოველდღიურად იმატებს სპეცსამსახურების წიაღში შემუშავებული კლასიკური ოპერატიული დეზინფორმაციის ოთხივე სახეობა - ისწავლეთ მათი ამოცნობა. გამოაგორეს ილონ მასკის “გამანადგურებელი” ტვიტი? არ დაიზაროთ - შედით მის ოფიციალურ გვერდზე და დარწმუნდით, რომ ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. აღშფოთებული რესპუბლიკელების სახელით შემფოთებული განცხადებები შეგხვდათ? ვიცნობდეთ ამ ნეოკონების გვარებს: ჯო უილსონი, ლინდსი გრემი თუ ადამ კიზინგერი,- რომლებიც ერთპარტიულობის მიუხედავად, ტრამპის გუნდის წევრებს არ წარმოადგენენ. გვახსოვდეს, რომ ჩვენი “დაუძინებელი მეგობარი” ჯონ მაკკეინიც რესპუბლიკელი იყო.

მოკლედ - იმედი, რწმენა და ნდობა არ მოგიშალოთ უფალმა ღმერთმა. ვისაც სულიერი გაძლიერება გსურთ - მარხვა დაიწყეთ, ჯერ თუ არ დაგიწყიათ. თუ მარხულობთ, მაგრამ თქვენც იგივე გჭირდებათ - ლოცვა გააძლიერეთ. მათ შორის იმაზე, რომ ქვეყანაში არ ჰქონდეს ადგილი ძალადობას, პოლიტიკური მიზნებისთვის “რიტუალურ მსხვერპლშეწირვას”, გახლეჩილი ოჯახების პოლარიზებას და ა. შ.

გვფარავდეს უფალი და დედა ღვთისმშობელი!

სახედარი ერთხელ რომ ლაფში ჩაეფლობა, იმ გზაზე აღარ გაივლის

ორსახოვანი ევროკავშირელების ამბავი ვრცლად როგორ არის, ამ დღეების განმავლობაში ყველამ გაიგო, ბრმამ, მუნჯმა და ყრუმაც კი, ამიტომ, მოკლედ ვიტყვი და განვაგრძობ ჩემს სათქმელს.

რა თქვა „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი ცხელ-ცხელი და ახალი, რაც მანამდე ევროკავშირელებს არ უთქვამთ?

ევროინტეგრაციის პროცესი შეჩერებულიაო, ზაფხულში ხომ გვითხრეს? გვითხრეს;

ევროკავშირის გაფართოება 2030 წლამდე არ იგეგმებაო, ხომ გვითხრეს? გვითხრეს; მხოლოდ ჩვენ ხომ არ გვითხრეს, ყველა კანდიდატ ქვეყანას უთხრეს და ან იქით რას ღელავენ, ან — აქეთ?

თუ ჩვენს ევროპულ გაგებას გაგებით არ მოეკიდებით და არ გაიწვევთ „რუსულ კანონს“ და „ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონს“, ვიზალიბერალიზაციას და დაფინანსებას შეგიჩერებთო, ხომ გვითხრეს? გვითხრეს. დაველოდოთ 16 დეკემბერს და გვახარებენ „მეგობრულ გადაწყვეტილებას“;

მაკრონმა ევროპა სადამდე მოხაზა რუკაზე, მეც მახსოვს და სხვასაც, ვისაც არ ახსოვს, იფანტაზიოროს, ჩვენ კი — გაგვატაროს!

მე მაკრონის იქით მივდივარ! ევროკავშირის წესდება იძულებით მაქვს წაკითხული და ვერაფრით ვხვდები, თუ მანამდე არ დაიშალა, რანაირად მიგვიღებენ როდესმე ევროკავშირში, ჩვენს გამო თავზე გადაიხვევენ თავიანთ მიერვე შედგენილ წესდებას? მით უმეტეს, რომ ზღვა არ ითვლება საერთო საზღვრად. თურქეთი რომ მაინც იყოს ევროკავშირის წევრი, დავიჯერებდი, რომ ჩვენ რაღაც იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ 1999 წლიდან ევროკავშირის კართან არის ატუზული ნატო-ს წევრი თურქეთი, იმას არ უღებენ კარს და ჩვენ გაგვიღებენ? მეტი კულტურულად რანაირად ვთქვა, რომ ყველა დასავლური სიტყვიერი „სიამე“ ათასგვარი დათქმებით, ბლეფია. ერთადერთი გაერთიანება ვიცი, ისიც ე. წ. აზიური, სადაც მიგვიღებენ კი არა, ფიანდაზებსაც გაგვიფენენ, დანარჩენი, ყველაფერი ე. წ. დასავლურის ხიბლი, მხოლოდ სასპეკულაციო სიტყვების თამაშია — ამას როდის მიხვდება დიდ-პატარიანად ეს ხალხი, ნეტავ?

ამ გახსენებაზე — ბატონმა კობახიძემ რომ შეუძახა საქართველოზე მოფიქრალ დაუძინებელ ევრომეგობრებს, დადეთ მაგიდაზე მოლაპარაკებების გახსნა და დღესვე მოვაწერ ხელს, საქმე შანტაჟის ნაცვლადო, რატომ გაისუსნენ? ანდა, რა აზრი აქვს მოლაპარაკებების გახსნას, როდესაც გარკვეულია – რასაც ისინი ითხოვენ, იმის შემსრულებლები ჩვენ არ ვართ?

სასხვათაშორისოდ კი ძალიან მაინტერესებს, თურქეთისგანაც ლგბტ ტოლერანტობას ითხოვენ, თუ ჩვენ გვნახეს დაბალი ღობე?

როგორც გუმანი მკარნახობს, ვირს რომ სტაფილოს ჩამოუკიდებენ ცხვირწინ და სტაფილოს ეშხით თოხარიკით მიარბენინებენ, ისე ვართ — აქამდე ნატო გვქონდა ცხვირწინ სტაფილოდ ჩამოკიდებული, ახლა ევროკავშირი გვაქვს. ერთიცაა, სახედარი ერთხელ რომ ლაფში ჩაეფლობა, იმ გზაზე აღარ გაივლის, ფეხს ვეღარ გადაადგმევინებ, ან სხვა გზიდან მოუვლის. ჩვენ რაღაც გვჭირს ვირზე უარესი, კონსტიტუციაშიც კი რომ ჩავიწერეთ რაღაც ორგანიზაციების წევრობის ფანატიკური ნდომა?

ვირი ერთი ჩაფლობის შემდეგ ხვდება, რომ იმ გზაზე გავლა საზიფათოა და ხელისუფლებებს რა სჭირთ, ყველა თავმოჭრილია? მით უმეტეს, რომ ხელწერა ერთი და იგივეა: კოსოვო, იუგოსლავია, ერაყი, პაკისტანი, ავღანეთი, ლიბია, სირია, უკრაინა, საქართველოში 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალება, 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალება, 2024 წელი — სახელმწიფო გადატრიალების გამალებული მცდელობა, რომელსაც ისევე მოყვება რუსეთთან ომი, როგორც წინა ორი გადატრიალების დროს მოხდა, — ამას ვინც ვერ იაზრებს, არც მებრალებიან და არც მათი ვარდისფერი სათვალე მშურს, მხოლოდ ვოცნებობ, რომ, როგორც ქვეყნისთვის სახიფათო გონებრივი ვირუსის, რამენაირი ფორმით მათი იზოლირება შემეძლოს...

ახლა დამიდგეს წინ ვინმე და სხაპასხუპით ჩამომიროაკრაკოს, გარდა იმისა, რომ ხელისუფლების ხელში ჩაგდება განმეორებით უნდათ სისხლიან უსამშობლოებს, სხვა რა ინტერესი აქვთ, კიდევ ერთხელ და არა უკანასკნელად რატომ აიფარეს ტვინბეცი ახალგაზრდები და თვითონ რატომ შეძვრნენ სოროებში?

ბიჯოოო, ასე რანაირად უნდა გაგაბრიყვონ, რომ ყველანაირი მნიშვნელობით, ასე უსაშველოდ დაბოლდე?

„გამოდით! არაა ეს პოლიტიკური აქცია! პატრიოტების აქციაა! პოლიტიკოსებიც ვდგავართ, როგორც სამშობლოს რიგითი დამცველები! სამშობლოს გვართმევენ, გამოდით!“ — იყვირა გვარამიამ და სხვებთან ერთად სადღაც მიიმალა, ესენი კი დააშტერეს: რომ არ დაიწყონ პოლიტიკოსებმა აიფარეს ახალგაზრდები, ამიტომ ჩვენ არ გამოჩნდებით, თქვენ მოაწყვეთ სახელმწიფო გადატრიალებაო და აშტერავებენ, ამათ ხვდებათ მათი მოსახვედრი წყლის ჭავლიც და სასჯელიც. ჰოდა, ახლა ზოგი „ბალნიჩნი კოიკაზე“ გადატრიალდეს და ზოგი „კამერნი შკონკაზე“, მარტოობამ ფიქრებისა და აზრების დაწმინდავება იცის...

„არაპროპორციული ძალა“, „ძალის გადამეტება“, — აპორწიალებენ უპატრონო კატის კნუტებივით ამ ფრაზებს. მე რომ „ოცნება“ ვიყო, მომდევნო აქციის წინ ეკრანს ჩამოვუკიდებდი და ანტისახელმწიფოებრივი აქციის ევროპულ დაშლასაც ვაყურებინებდი „შიგ ევროპელებს“ და ამერიკულსაც, ზედ კი ქალების მიმართ პოლიციის დამოკიდებულებას დავურთავდი, როგორ სწავლობენ „შიგ ევროპელი“ და ამერიკელი ქალები ფრენას დასავლელი პოლიციელების ერთი დარტყმით... სააკაშვილის რეჟიმის მიერ დაშლილ აქციებსაც ვაჩვენებდი...

ახლა ის მაინტერესებს, აქციის მონაწილეებს ქვები და რაღაც მძიმე საგნები რომ აქვთ თავში მოხვედრილი, სპეცნაზს ბრალდება თუ კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილს...

როგორც ამბობენ, ეს „მშვიდობიანი მომიტინგეები“ ზურაბ-გირჩს აბარია, ის კიდევ ამბობს, ვერავინ იტყვის, ზუსტად როდის გავიმარჯვებთ, როცა იქნება — ის მაინც გვეცოდინება, რომ საჭირო დროს ვიდექით საჭირო ადგილზეო და აბანავებს ძლიერი ჭავლით მიშვებულ ცივ წყალში თავის დარეტიანებულ ფარას...

„მშვიდობიან მომიტინგეებს“ და „დაუნდობელ სპეცნაზს“ რომ ვუყურებ, ძალაუნებურად სააკაშვილისდროინდელი „დაუნდობელი მომიტინგეები“ და „ზეჰუმანური დუბინკებიანი სპეცნაზი“ მახსენდება გასუსული კრებსითი დასავლეთის ჩათვლით. მეტრო „თავისუფლების“ სახურავზე შემოდებული ცხედრებიც მახსენდება და ვოცნებობ, მხოლოდ 5 წუთით გახდეს „ქართული ოცნების“ ოპოზიცია მიშას ოპოზიცია და შსს მინისტრად ისევ „ვანო და კამპანია“ დავჯდეს, მერე ნახავდნენ ჩელიაბინსკურ გვემას და ტრადიციულად გასუსულ დიპკორპუსს...

ახალი და მოულოდნელი არაფერი ხდება, ეს ყველაფერი გეგმად ეწერა ლორა თორნტონ დეიდას, ამდენად, არ მიკვირს. მე ის მიკვირდა, ერთმანეთს რატომ გადასძახებდნენ ხოლმე „რუსებოო“! ან საიდან მოიტანეს, რომ სპეცნაზელები რუსები არიან და ესეც გაირკვა — არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ძალიან შეუწუხებია რუსი, ბელორუსი, დიდი ბრიტანელი და ამერიკელი უსაქმურებიც. სამადლოდ შემოხიზნული უკრაინელების უმადურობის არ მიკვირს. რამდენიც დაკავებულია, ეს არაფერია, კიდევ რამდენი იქნება, ის არის საკითხავი.

„ოცნება“! მოკიდე ახლა ხელი მაგ უსამშობლოებს და ჩააბარე ზოგი პუტინს, ზოგი „ბატკას“ და ზოგი ზელენსკის, ისინი უკეთ მოუვლიან, თქვენ არაფერი გაგეგებათ „მოვლისა“, სააკაშვილისა არ იყოს, რაღაცას ბალერინობთ!.. ასე ეძახიან კიდეც ერთმანეთს...

ყველაფერი თითქოს გავიგე, მაგრამ პარლამენტის წინ აღმართულ ჯვარს რომ ჯვრიანი დროშის ტარს ურტყამენ, ეს ჯვარი კი არა, ლითონის კონსტრუქციააო, ვიბნევი, რა დოზა ამფეტამინი შვრება ამას?..

წამოძახებას აზრი აღარ აქვს, უკვე იყო ის ნაღმად ჩადებული კოაბიტაცია და მის შედეგებს ვიმკით ახლა, ესეც ჩაივლის და, მაინტერესებს, კოაბიტაციურად კვლავ ერთად უნდა ძოვის მგელმა და ცხვარმა?

მთავარი დამნაშავე, კრიმინალური სისტემის შემოქმედი ოროთახიან პალატაში ჩაასახლეს და იქიდან მოძღვრავს ხელქვეითებს; სისხლის სამართლის მძიმე მუხლებით რომ უნდა მსხდარიყვნენ ციხეში, გაფლანგვაზე გაუშვეს და იქიდანაც შეიწყალა უსამშობლო სალომე-რეზიდენტმა; ტელევიზიები და ჟურნალისტები, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას ეწევიან და დეზინფორმაციას ავრცელებენ, ხელშეუხებლები არიან, ქიციც იციან, ქიცმაცურიც და დასეირნობენ ტელესივრცეში... ასეა ყველა სფეროში...

„ოცნება“! როგორც ჩემი უბნელი ბებერი „ლაგერნიკი“ იტყოდა, „რამსები“ გაქვთ არეული!

მიშას მეგობარი სარკოზი რომ დააპატიმრეს, არავის გაუბედავს მის დაპატიმრებაზე სიტყვის დასველება, არათუ, ჩვენ გვინდა და გამოუშვითო. მით უმეტეს, რომ სარკოზმა არც გენოციდი მოუწყო ფრანგებს და არც ლაჯებშუა ამოუდვია საფრანგეთი...

ვიტყოდი, დღეს რომ ვხედავ, ასეთი ევროპა არ მინდა-მეთქი, მაგრამ დამასწრეს, თვით ევროპელებს აღარ უნდათ ასეთი ევროპა, ამიტომ აბრუნებს ევროპის ქვეყნების ხალხი კონსერვატორებს...

ყველას ამოუვიდა ყელში თანამედროვე ევროელიტის ორსახოვნება!

ზოგადად კი, როდესაც სამშობლოს სიყვარულის გამო „მონას“ მეძახიან, სულაც არ ვბრაზდები, ეს სიტყვები მახსენდება: „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა, და საქართველოს მედგას უღელი...“, ხოლო წინ თუ უმართებულოდ რომელიმე ქვეყანას ჩაამატებენ, იქედნურად მეცინება — მოსკოვის, ვაშინგტონის, ბრიუსელის, ტაივანისა და ა. შ. მონები რას იტყვიან, იმაზე ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვიდრე ვირის ნაბუთქს...

პუტინმა რომ თქვა, თუ რუსული გაზი არ უნდათ, მაშასადამე შეშაზე გადადიან, ის შეშაც ციმბირიდან მე უნდა მივცე და იყვნენ რუსეთის გარეშე, როცა შესცივდებათ, იხტუნაონო, გადაიფიქრეს ხტუნაობა და მესამე ქვეყნებში გადამისამართებული, თან გაძვირებული რუსული ყველაფრით სარგებლობენ. ბიზნესებს სახელები შეუცვალეს და განაგრძობენ ყიდვა-გაყიდვას, ჩვენ კი დაგვძახიან, რუსეთისკენ არ გაიხედოთ, სანქციები დაუწესეთ, თორემ „რუსეთის მონები“ დაგერქმევათო, — ქართულ საქმეს ვაკეთებთ და ტვინით ბეცების ასაყოლიებლად „რუსულს“ არქმევენ...

კრებსით დასავლეთს კი სადღა აქვს ღირსება და ფასეულობები!

თავიანთნაირი ღირსება და ღირებულებადაკარგული გახადეს მათი მიმბაძველი აქაური „პეროგარჭობილებიც“, გაუწყვიტეს შუბლის ძარღვი და გაუმარტივეს ცხოვრება. ყველას არ ჩამოვთვლი, ვინც ამ დღეებში სახე უნიღბოდ გამოაჩინა, მაგრამ ეკა ხოფერია რომ არ ვახსენო, სინდის-ნამუსს დავკარგავ: „რა მოლაპარაკებებს წყვეტთ 2028 წლამდე? ჰო, იმედია, შეხსენება იმის, მე რომ „ნაცი“ არ ვარ, არაა საჭირო“, — დაწერა ამ ქალმა. „ნაცი“ არ ვარო, ხალხო, ნაციო! აბა, ვინ ხარ, ქალო, შმაცი?

ძველი „რუსთავი-2“, „ვარდების რევოლუცია“ და ეკა ხოფერია ერთმანეთთან კავშირში სიზმრად ვნახე? ცუდ სიზმრად კი მაქვს ჩარჩენილი — რევოლუციურ მოწოდებებს ჩემი ფანჯრიდან მე გავბღაოდი, თუ ეს ქალი, მაშინ გოგო, გაჰკიოდა „რუსთავი-2-ის“ პირდაპირი ეთერით და ხალხს უხმობდა

1183.

ახლა ენის მოჩლექით საუბრის დრო კი არა, მოქმედების დროა!

გვესაუბრება „ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი ზურაბ ქადაგიძე

- ბატონო ზურა, პრემიერ-მინისტრის განცხადებამ, რომ საქართველოს მთავრობა 2028 წლამდე ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხს არ დააყენებს, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. გადაწყვეტილების მიზეზი ევროსაბჭოს სამიტია, რომელიც 16 დეკემბერს უნდა გაიმართოს, სადაც ევროკომისია ისეც უარს იტყვის საქართველოსთან მოლაპარაკებების გახსნაზე და გასაგებია, რომ ეს განაცხადი ხელისუფლებამ შემდგომი არეულობების პრევენციის მიზნით გააკეთა. ამაზე მეტი არეულობა იყო მოსალოდნელი, რაც მივიღეთ? იქნებ, მსგავსი განცხადებისგან თავის შეკავება სჯობდა?

- მესმის, ემოციური მომენტია, რადგან ყველა ვუყურებდით იმ პრიზმიდან, რომ თითქოს რაღაცა ჩაწყნარდა და შემდეგ გააკეთეს ეს განცხადება, მაგრამ რეალურად არაფერი ჩაწყნარებულა. როგორც აქამდე იყო, ისევ ისევ გრძელდება მუშაობა რადიკალების მხრიდან. ცდილობენ, რომ სანამ გეოპოლიტიკური გადალაგება დაიწყება, სადაც არის საშუალება, მაქსიმალურად ცხელი კერა უნდა შეიქმნას! ეს იყო „ლიბერალების“ გეგმა, ეს იყო ომის პარტიის გეგმა და ამას განაგრძობენ ისინი სხვადასხვა სტრუქტურაში, ეს იქნება ევროდეპუტატთა ნაწილი, გარკვეული ბერკეტების მქონე პერსონები ევროკავშირში, საერთაშორისო აქტორები თუ სხვა. გლობალური კონიუნქტურით, სადაც იყო ამის საშუალება, აუცილებლად ომი უნდა დაწყებულიყო. აქედან გამომდინარე, საქართველოში არის მცდელობები იმისა, რომ, რადგან არ გამოვიდა ომი, უნდა მოხდეს შიდა სამოქალაქო დაპირისპირება და ყველაფერი კეთდება ამისათვის.

უნდა ვისაუბროთ ემოციის გარეშე, ფაქტებიდან გამომდინარე, ცივი გონებით, რადგან ჩვენ ვსაუბრობთ ახლა სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნაზე! თუ ვიტყვით, რომ მოდი, დღეს ამ მობილიზებულ ადამიანებს არ მივცეთ საბაბი, ვიქნებით ყოველთვის თავის მართლების რეჟიმში, დაჩაგრული სულელის პოზიციაში, რომელსაც ყველა თავში წამოარტყამს, ვისაც გაუხარდება. ჩვენ უნდა გაგვაჩნდეს ჩვენი პირობები, ჩვენი დამოკიდებულებები, პრინციპები... „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან მკაცრად, მკაფიოდ და გასაგებად განაცხადა თავისი დამოკიდებულება, - მხოლოდ ღირსებით, მხოლოდ მშვიდობით მივდივართ ევროპაში და - არანაირი ჩოქმბჯენში დგომით და ვიღაცის ხელის ბიჭობით.

რადგან ვერსაიდან ვერ მოიტანეს ეს 300 ათასი გაყალბებული ხმა, რაღაცა ხომ უნდა მომხდარიყო! საჭირო იყო სასწრაფო ინექცია მომაკვდავი რადიკალების გასაცოცხლებლად და ერთ კვირაში აუცილებლად გზაგასაყარზე ვიდგებოდით. დიდი გადაწყვეტილების მოლოდინში ვიყავით და ეს დასრულდებოდა იმით, რომ „ჩვენ არ ვართ ღირსი, მოლაპარაკებები გაიხსნას საქართველოსთან“, რასაც მოჰყვებოდა უფრო მეტად ორგანიზებული პროცესები მათი მხრიდან, ვიდრე ახლაა, - აუცილებლად მოჰყვებოდა! მე ამიტომ ვამართლებ მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ ახლა არ არის ენის მოჩლექით საუბრის დრო. ახლა მოქმედების დროა. ხელისუფლებამ გარკვევით განაცხადა, რომ დღესვე მოვაწერთ ხელს მოლაპარაკების გახსნის საკითხს, თუკი ეს შემოთავაზება დადგება ევროკავშირის მხრიდან. მაგრამ პირადად ჩვენ 2028 წლამდე მოლაპარაკებების გახსნის საკითხს აღარ დავაყენებთ, რათა ეს საკითხი არ იყოს მუდმივად ვაჭრობისა და შანტაჟის იარაღი მათი მხრიდან.

- საქმე ის არის, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს განცხადება ვერ გაიგო, ან არ გაიგო და იმდენი ხალხი გამოვიდა ქუჩაში, რამდენის გამოყვანაც ოპოზიციამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, აქამდე ვერ მოახერხა...

- სამწუხაროდ, საქართველოში ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა ტიკ-ტოკისეული შემეცნება, აღქმა და აზროვნება. ეს მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანთა ნაწილი ფსევდო-რეალობას ფაქტად აღიქვამს და სინამდვილე აღარ აინტერესებს. ეს ძალიან კარგად იციან ბოროტების შემოქმედებმა და დამგეგმავებმა. როდესაც პატარა ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს ურიგებენ აირწინაღებს და მათ იყენებენ ფარად, არ ვიცი, რა ვუწოდო ამ ადამიანებს! პირუტყვები არიან ესენი, რომლებიც ამას კადრულობენ, რომლებიც ყველაფრისთვის მზად არიან, არაფრად უღირთ ბავშვის, არასრულწლოვანის თუ ზრდასრული ახალგაზრდის, ზოგადად, ადამიანის სიცოცხლე და ნებისმიერ წამს შეუძლიათ ის კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ! მათ არავინ უზღუდავთ პროტესტის გამოხატვის უფლებას და პოზიციონერობას, მაგრამ ესენი აქ პროტესტის გამო კი არ არიან, ესენი აორგანიზებენ ყველაფერს იმისათვის, რომ მოაწყონ მაიდანი. ეს არის მათი დავალება ევროპიდან. ამ დავალების მისაღებად იყვნენ წასული გვარამია და ბოკუჩავა ევროპაში. იანვარში, ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ, ლიბერალური ფაშიზმის დუღილის ტემპერატურა ნელ-ნელა დაიწევს. ეს კარგად იციან ჩვენმა ფსევდოლიბერალებმაც და მოსწრებაზე არიან. არ გაკეთდებოდა ეს განცხადება მთავრობის მხრიდან და 16 დეკემბერს ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით, რომ საქართველო თავის პრინციპულ პოზიციასაც ვერ დააფიქსირებდა. ამ შემთხვევაში უკვე, პოსტფაქტუმ თავის მართლების რეჟიმში ჩადგომას არანაირი ფასი არ ექნებოდა. ამიტომაც მიიღო ხელისუფლებამ ეს სწორი გადაწყვეტილება. ჯობია, დუღილი დაიწმინდოს და შეიგნონ ადამიანებმა, თუ რა პროცესთან გვაქვს საქმე, ვიდრე შემდეგ უარესი შედეგი მივიღოთ.

- ცნობილია, რომ ევროკავშირი 2030 წლამდე გაფართოების პოლიტიკას ისედაც არ განიხილავს. ამაზე მათ უკვე არაერთი განცხადება გააკეთეს და თუ ასეა, რაღა საჭიროა რამდენიმე წლით ადრე ამხელა აჟიოტაჟი?

- რა თქმა უნდა, კიდევაც რომ გაიხსნას მოლაპარაკებები, მაინც არაფერი მოხდება. კონკრეტულად შარლ მიშელმა და არაერთმა დეპუტატმა განაცხადა, რომ 2030 წლამდე ვერანაირ გაფართოებას ვერ დაიწყებს ფიზიკურად ევროკავშირი! მოლაპარაკებების გახსნა, უბრალოდ, არის ტექნიკური გადაწყვეტილება, მაპზე უკეთესი პოლიტიკური გადაწყვეტილება, ეს არის ევროპული პერსპექტივა, - შედგება პოლიტიკური აქტი, თითქოს რაღაც დივიდენდიც გაცემა, მაგრამ არაფერი იცვლება არც სტატუსით და არც მოლაპარაკების გახსნით, თუ შენ აუცილებლად არ შეასრულე ასოცირების შეთანხმება და ის ტექნიკური თუ იურიდიული ვალდებულებები, რომლის საშუალებითაც უნდა დაუახლოვდე ევროპას. ეს არის მთავარი, რაზეც გააკეთა განცხადება პრემიერ-მინისტრმა, ამას მივყვებით გეგმაზომიერად და სწორედ 2028 წლისთვის იქნება ყველაფერი თითქმის დასრულებული, როდესაც ჩვენ ვიქნებით მზად და, თუ მანამდე ევროკავშირი

არ გახსნის მოლაპარაკებას, ჩვენ ამ საკითხს არ დავაყენებთ!

- ოპოზიციის მხრიდან „ქართული ოცნების“ დამაკნინებელ ეპითეტად და ფაქტობრივად, ყველაფრის „არგუმენტად“ იქცა გამონათქვამები: „რუსული ოცნება“, „რუსეთუმე“, „ჩელიაბინსკი“ და ა. შ. მე არ მახსენდება „ქართული ოცნების“ მიერ რუსეთთან დასაახლოებლად გადადგმული ნაბიჯი, გარდა იმისა, რომ აღდგა თავისუფალი ფრენები რუსეთის მოქალაქეებისთვის და მართლა მაინტერესებს, სხვა რა გააკეთა ხელისუფლებამ მათთან დასაახლოვებლად?

- ვიზის შემთხვევაშიც არაფერი გაუკეთებია „ქართულ ოცნებას“ რუსეთთან დასაახლოვებლად. მიხეილ სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დააწესეს ცალმხრივი უვიზო მიმოსვლა რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში, რაც რუსეთმა შეზღუდა. შემდეგ კი, თავად რუსეთმა მოხსნა ისევ ეს შეზღუდვა და არა საქართველომ. არანაირი მიზეზი არ არსებობს! ამას სჭირდება დანახვა და სწორი შეფასება, მაგრამ ტიკ-ტოკ-აზროვნების მქონე ადამიანებისთვის „უტყუარი მტკიცებულება“ მხოლოდ ის არის, რა „კარწინკასაც“ დაუდგამთ „მთავარი არხი“ და „ტვ-პირველი“. ისიც საკითხავია, როგორ აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამ რუსებს, რაღაცნაირად, სწორედ იმ დროს მოუნდებათ ჩვენი „შექება“, როცა ეს რადიკალურ ოპოზიციას სჭირდება! - შემთხვევით, პარტნიორები ან სიტუაციური მოკავშირეები ხომ არ არიან?! პოლიტიკოსები ხატებად გამოსახეს და სექტანტურ რიტუალებს ატარებენ... ვინ არის რეალურად ფილიპე მახარაძის ღირსეული პოლიტიკური მემკვიდრე, კი ვხედავთ!

- იმედია, მშვიდობა გვექნება და მალე ახალი პრეზიდენტიც გვეყოლება. რა ნიშნით შეირჩა თქვენი გუნდის წევრი, მიხეილ ყაველაშვილი აღნიშნულ პოზიციაზე?

- ამ ორი წლის განმავლობაში, საქართველოს საგარეო ფაქტორი აღმოჩნდა ძალიან ტურბულენტურ მდგომარეობაში, როდესაც მართლა გადარჩენა-არგადარჩენის და ომისა და მშვიდობის საკითხი დადგა. გარდა იმისა, რომ მიშა ყაველაშვილი იყო პარტიის გენერალური მდივანი, ის არის ასევე ერთ-ერთი პოლიტიკოსი, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებში. თავი რომ დავანებოთ მის ბიოგრაფიას, მის ცნობადობას ევროპაში, როგორც ფეხბურთელის, როგორც ქართველი კაცის, მიხეილ ყაველაშვილი წლების განმავლობაში იყო ჩართული პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ის იყო ძალიან წარმატებული მაჟორიტარი და რომ იკითხოთ იმ ოლქებში, თუ რას აკეთებდა ის, თუნდაც გაუპიარებლად და აფიშირების გარეშე, ყველა ისაუბრებს ამის შესახებ. ამ ურთულესი ორი წლის განმავლობაში, მიხეილ ყაველაშვილმა გამოაჩინა პოლიტიკოსისთვის განსაკუთრებით სწორი პოზიცია, განსაკუთრებული მედეგობა და მდგრადობა, სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, თუნდაც იმ იდეალების დასაცავად, რასაც სუვერენული საქართველო, ღირსება და ტრადიციები ჰქვია. რომლის საშუალებითაც ჩვენ ვცდილობთ, დღეს მსოფლიოს დავუმტკიცოთ, რომ საქართველო ცალ ფეხზე მდგომი ქვეყანა არ არის, საქართველოს გააჩნია თავისი ტრადიციები, თავისი კულტურა და თუ ვინმეს აქვს ჩვენთან პარტნიორობის სურვილი, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ყველაფერი. მიხეილ ყაველაშვილს აქვს ყველა ის თვისება, რომელიც საჭიროა კარგი ქართველი ახალგაზრდა პოლიტიკოსისთვის, რომელსაც შეუძლია ცალსახად, საკუთარი მოქმედებებით და გადაწყვეტილებებით საქართველოს წარმოჩენა მსოფლიო რუკაზე. მჯერა, მიხეილ ყაველაშვილი შეძლებს, პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოსა და სახელმწიფოს სადარაჯოზე დააყენოს. სწორედ ამიტომ შეირჩა აღნიშნულ პოზიციაზე მისი კანდიდატურა.

ნონა ქარქაშაძე

ახალგაზრდობას „ეშმაკები“ დაეპატრონენ

გვესაუბრება
საინფორმაციო სააგენტო „იქსნიუსის“ დამფუძნებელი
მირიან ყარაულაშვილი

— ბატონო მირიან, არჩევნებიდან თვეზე მეტი გავიდა. როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს?

— „საერთო გაზეთს“ და პირადად თქვენ, კიდევ ერთხელ ჩემს პატივისცემას გიდასტურებთ. რასაც თვალს ვადევნებთ, ეს მართული პროცესი გახლავთ, რომლის უკან ე. წ. ოპოზიციასთან ერთად, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების და ქვეყნის მომავლის, ბედის არაკეთილმოსურნე გარე ძალები დგანან. ფაქტია, მიზანი ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლაა. საბაბად გაყალბებულ არჩევნებს ასახელებენ, არადა, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა საკმაოდ მშვიდ, სამართლიან გარემოში ჩაიარა. მიკვირდა კიდეც, უბნებზე ისეთი სიწყნარე იყო. ე. წ. ოპოზიციურმა ძალებმა, რომელთაც არჩევნებით ხელისუფლება ხელში ვერ აიღეს, მისი შედეგების გაპროტესტება დაიწყეს. პროტესტის ერთმა ტალღამ გადაიარა და ახლა მეორე დაიწყო, რაც კობახიძის განცხადებას მოჰყვა ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის 2028 წლამდე დაპაუზების თაობაზე. ხელისუფლება ამ პროცესში შანტაჟის ფონზე მონაწილეობას არ აპირებს. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ როგორ იბრძვის საქართველო თავისი დამოუკიდებლობის, ღირსებისა და განვითარების გზაზე. ჩვენ, როგორც ევროპული კულტურის, ტრადიციებისა და ფასეულობების ქვეყანა, შანტაჟს და შეურაცხყოფას არ ვუშინდებით, რაც ჩვენს ღირსებას და სახელმწიფოებრიობას უპირისპირდება.

მეორე მხრივ, ისიც საკითხავია, აპირებს თუ არა საერთოდ ევროპა საქართველოსთან მოლაპარაკებების გახსნას. მათ ეს პროცესი ჯერ კიდევ ამ წლის ივნისში თავად შეაჩერეს. არჩევნებში დამარცხებული ძალა ხელისუფლებაში მოსასვლელად იღვწის და, რადგან ამას არჩევნების გზით წლებია, ვეღარ ახერხებს, მიზნის მიღწევას გადატრიალების, ხელისუფლების უზურპაციის გზით ცდილობს.

— ჰერჩინსკიმ განაცხადა, ყველამ ახალ რეალობაში გავიღვიძეთ, ხელისუფლებას საკუთარი ხალხი ღალატში ამხელსო.

— საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, ხელისუფლების მიერ პირველი მცდელობაა, რომ სხვისგან დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებს და გარე ძალების მიერ ნაკარნახევი დავალებით არ საუბრობს. ეს გამაღიზანებელი აღმოჩნდა იმ ძალებისთვის, რომლებიც ცდილობენ, საქართველოს თავისი ინტერესები, წეს-ჩვეულებები თავს მოახვიონ.

— პროცესებში ახალგაზრდობაც აქტიურად ჩაება...

— მიუხედავად ხელისუფლებისადმი ჩემი მხარდაჭერისა, ერთი რამ უნდა ითქვას: მისი დანაშაული და შეცდომაა ის, რომ ქვეყნის სათავეში მოსვლის დღიდან, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდების სწორი მიმართულებით აღზრდაზე არ იზრუნა. ხომ გაგიგიათ, მიტოვებულ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო. ჰოდა, ზუსტად ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ეს არაჯანსაღი ძალები ახალგაზრდების მსოფლმხედველობას დაეპატრონენ. შედეგად, მათი ცნობიერების სწორი გზიდან გადახვევა ხდება. მამათა და შვილთა დაპირისპირება ყოველთვის იყო, მაგრამ დღეს რაც ხდება — მწვავე, რადიკალური ქმედებები, მამათა და შვილთა კამათში არ ჯდება. მამათა და შვილთა დაპირისპირება აკადემიურ ფორმებს არასდროს სცდებოდა. დღევანდელი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის ქმედებები იმ დამღუპველი თეორიების შედეგია, რასაც მათ ე. წ. ფრანკლინის კლუბში, მაკკეინის ინსტიტუტში, „ილიაუნში“ და სხვა მსგავს დაწესებულებებში უნერგავენ. აქ არამხოლოდ ახალგაზრდები, პროფესურაც ამ თეორიებითაა მოწამლული. „ილიაუნის“ პროფესურას ის ხალხი წარმოადგენს, რომელთაც 2012 წლის არჩევნების მერე ხელისუფლება დაკარგეს. მათი დიდი ნაწილი ყოფილი ჩინოვნიკები არიან, რომელთაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს მაღალი თანამდებობები ეკავათ. ეროვნული ბანკის მმართველი რომ დეკანი გახდება, ეს ხომ ანეკდოტია. სწორედ ამის შედეგია, რომ ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფი არასწორი იდეებით არის მოწამლული. ხელისუფლებას მინდა მოვუწოდო, საკუთარი გეგმების შესახებ ფართო მასებს მეტი ინფორმაცია მიაწოდოს.

აქვე ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ საქართველო დღეს თუ ხვალ აუცილებლად გახდება ევროპის განუყოფელი ნაწილი და არის კიდეც. ჩვენ არ და ვერ ვიქნებით იმ იდეოლოგიური ხაზის წინააღმდეგი, რასაც ევროპული განვითარება ჰქვია. ერთსაც გეტყვით, სამწუხაროდ, საჯარო მოხელეების უმრავლესობა დიდი მორალური მდგრადობით და ფაქტების სწორად შეფასებით არ გამოირჩევა. ბოლო დღეებში ჟღერდება, რომ საქართველოს ელჩები ბულგარეთში, ირლანდიაში, ჩეხეთში, ნიდერლანდებში, აშშ-ში... გადადგნენ, ასევე, კობახიძის განცხადებას ემიჯნებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

ხელისუფლებამ პარტნიორ ქვეყნებთან დიპლომატიური თანამშრომლობის შანსი ხელიდან გაუშვა და ეს საქმე, რატომღაც, ოპოზიციას გადააბარა, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნისას მიღებული გამოცდილება კარგად გამოიყენა და იმ პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობა განაგრძო, რომლებიც დღეს მისი მხარდამჭერები არიან. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დიპლომატიური ურთიერთობები საერთოდ მოშლილია. ამის ნათელი მაგალითი საგარეო უწყების თანამშრომლებისა და ელჩების განცხადებებია. ავიღოთ ბულგარეთის ელჩი, რომელიც ახლახან გადადგა. ხელისუფლებას ვეკითხები: ერთი კონკრეტული საკითხი დაგვისახელონ, რომელიც ამ ელჩმა ქვეყნის სასიკეთოდ გააკეთა. რა სიკეთე მოუტანა სახელმწიფოს ელჩად ყოფნისას?!

— თქვენ ახსენეთ, საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილი არის და იქნებაო. მაგრამ ევროპა ხომ ცივილიზაცია, განათლება, კულტურაა. განა ასე, რკინის კონსტრუქციაზე მუშტების ბრახუნით შევალთ ევროპაში?

— ბოლო 10-15 წელია, მსგავსი პროცესები — პროტესტის გამოხატვის დროს მემარცხენე ექსტრემიზმზე გადასვლა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს. წინა არჩევნების დროს, ამერიკაში ტრამპის მხარდამჭერები კონტროლიდან, კანონის ჩარჩოებიდან გამოსულნი იყვნენ, არბევდნენ მაღაზიებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, ბოლოს, 6 იანვარს კონგრესის შენობის დარბევამდე მივიდნენ... იმედია, მსგავსი პროცესები არც ამერიკაში და არც ევროპაში, ცხელ ფაზაში არ გადაიზრდება. ტრადიციული ფასეულობების მხარდამჭერი ძალები — ტრამპი და მისი გუნდი, თუ საშუალება მიეცემათ, ამ საქმის გამოძიებას დაიწყებენ. მსგავსი პროცესები მეზობელ ქვეყნებშიც ვიხილეთ, სომხეთში და სხვაგან. აზერბაიჯანმა ამას თავი ღირსეულად გაართვა.

ალიევმა პროცესების დასაწყისშივე მკაცრი, მტკიცე პოზიცია დაიკავა. მაგრამ რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს. ალიევს ვერ შევედრებით, აზერბაიჯანი ყველას სჭირდება, მას აქვს გაზი, ნავთობი, რითაც ევროპის ბევრი ქვეყანა სარგებლობს. ჩვენს წინააღმდეგობას მათ იდეოლოგიასთან რა შედეგიც მოჰყვება, კი ვხედავთ.

— აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება მწვავე ფაზაშია გადასული. რა როლი აკისრია ამ დროს ხელისუფლებას?

— ხელისუფლების როლი გახლავთ ის, რომ ყველა არაკანონიერი ქმედება აღკვეთოს. ხელისუფლება საკუთარ ძალას, ტექნიკურ საშუალებებს პროპორციულად იყენებს. ამ ეტაპზე მისი მხრიდან გადაცდომას ვერ ვხედავ. თუმცა, სპეცრაზმში ჩანერგილი ადამიანები, რომლებიც „ნაცმოძრაობისგან“ დავალებულნი არიან, თავიანთ უფლებამოსილებას აჭარბებენ, რათა ოპოზიციას ხელთ ჰქონდეს ფოტო-ვიდეო მასალა, თითქოსდა ხელისუფლების მხრიდან ძალის გადამეტების შესახებ. ამიტომ ხელისუფლებამ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს და ყველა კანონდარღვევა აღკვეთოს.

— ქვეყნის გადატრიალების პროცესში აქტიურად არის ჩაბმული პრეზიდენტიც, რომელიც ევროპას გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს...

— ზურაბიშვილისგან არაფერი მიკვირს. ეს ქალი არც საქართველოს პატრიოტია და არც მოქალაქე. ამიტომ იმ დავალებებს ასრულებს, რასაც სხვადასხვა ქვეყნები აძლევენ. ზურაბიშვილი რეალობის სრულ იგნორირებას ახდენს და დესტრუქციული ჯგუფების ინტერესებს იცავს. „მშვიდობიან დემონსტრანტებს“ უწოდებ მათ, ვინც ვითომ ევროპული გზისა და ახალი არჩევნების მოთხოვნით გამოდიან, სინამდვილეში კი, ეს ქმედებები ქვეყნის სტაბილურობის დარღვევისკენ არის მიმართული.

— მან ბრიუსელს პირდაპირ მიმართა, თუკი რაიმე უნდა გადაგეწყვიტათ, სწორედ ახლა დადგა ეს მომენტიო. ასევე, პოლიციას, ჯარს მიმართა, ხელისუფლებას არ დაემორჩილონ.

— დიახ, იგი ბრიუსელს პირდაპირ ხელისუფლების შეცვლისკენ, ჯარს და პოლიციას კი, სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებს. კიდეც აცხადებს, არაკანონიერი, არალეგიტიმური მთავრობა გვყავს, ლეგიტიმური მხოლოდ მე ვარო. სწორედ ეს არის 2003 წლის რევოლუციის სცენარის გამეორების მცდელობა.

— რამდენიმე დღის წინ ევროპარლამენტმა ახალი შემადგენლობა აირჩია. რა შეიძლება შეიცვალოს საქართველოსთან მიმართებით და ამ პროცესების გათვალისწინებით, როგორ გაგრძელდება ევროპასთან ჩვენი ურთიერთობა?

— ევროპარლამენტის სახელით მიღებული რეზოლუცია ყველა ევროპარლამენტარის აზრს არ გამოხატავს. იქაც არიან ღირსეული ევროპარლამენტარები, მათ შორის, ფრანგები, უნგრელები, სლოვაკები, ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთაც საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა არ ხელეწიფებათ, მაგრამ საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებენ.

პრემიერის განცხადების მაპროვოცირებელი სწორედ ეს რეზოლუცია იყო. საქართველოსთვის ასე დავალებების მიცემას, რაც რეზოლუციაში აისახა, კრემლი საბჭოთა კავშირის დროს ვერ ბედავდა. პირველ რიგში, ეს ევროპარლამენტარების სირცხვილია. ევროპარლამენტის რეზოლუცია მხოლოდ პოლიტიზებული და მიკერძოებული განცხადებების კიდევ ერთი მაგალითია, რაც რეალობას აცდენილია. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ბოლო რეზოლუციით პრეზიდენტს მიშას შეწყალებაც დაავალეს. ზურაბიშვილმა მიშა შეიძლება კიდეც შეიწყალოს, მაგრამ ამას კიდევ ერთი დაპირისპირება, ესკალაცია მოყვება.

— ოპოზიციამ სიები ჩახსნა, მანდატების გაუქმებაზეც ინდივიდუალური განცხადებები დაიწერა. სად ხედავთ მის ადგილს?

— ვერ გეტყვით, მათ პარლამენტში შესვლა რომ ნდომოდათ, აქამდე შევიდოდნენ. თუ ვითარება მალე დაწყნარდება, ალბათ, შევლენ კიდეც, რადგან იმ პრივილეგიებს, ფინანსურ ნაკადებს, რაც პარლამენტში ყოფნით უნდა მიიღონ ხელფასების თუ პრემიების სახით, ვერ შეელევიან. თანაც, მე 2003 წლის სცენარის გამეორებას გამოვრიცხავ. ხელისუფლებას ყველა ბერკეტი გააჩნია, რათა მისი ძალადობრივი შეცვლის მცდელობა აღკვეთოს.

— რამდენიმე დღეა „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ აქციები მიმდინარეობს. ბუღაძე, კაკაბაძე, ფარულავა და სხვები ტელევიზით მართალი სიტყვის გაჟღერებას ითხოვენ...

— „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მოვლენებს ყოველთვის ისე აშუქებს, როგორც თქვენს მიერ ჩამოთვლილ ადამიანებს სურთ, ამიტომ ვერ ვხვდები, რაღას ემართლებიან. არ მგონია, ეს ტელევიზია ბუღაძეების პოზიციებიდან შორს იდგეს. ჩემს ფბ-გვერდზეც დავწერე და თქვენც გეტყვით: გადაცემების ბადე მაინც გადავსებული აქვთ უაზრო, არაფრისმთქმელი გადაცემებით და ბარემ, ყოველდღე ერთი საათი გაუშვან ახალი რუბრიკა „გიჟი თავისუფალია“ და დასვან ეს პიროვნებები ეთერში — ხალხი ცოტას მაინც გაერთობა.

თამარ შველიძე

პრემიერის გადაწყვეტილება ევროპას აიძულებს, საქართველოს მეტი პატივისცემით მოეპყროს

გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე

— ბატონო ლევან, პრემიერმა განაცხადა, რომ 2028 წლამდე ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნა შეჩერდება.

— მე თუ მკითხავთ, მსგავსი განცხადება უფრო ადრეც უნდა გაკეთებულიყო. ევროკავშირში გაწევრიანებაზე უარს არავინ ამბობს. საქმე ის არის, რომ ეს სტრუქტურა ისე გვეპყრობა, როგორც განუვითარებელ, მეხუთეხარისხოვან ქვეყანას. ის ჩვენთან მიმართებით არ იყენებს იმ პრინციპებს, რასაც ევროკავშირის შექმნის საფუძვლები წარმოადგენს. ანუ, მას მორჩილი, ვასალურ მდგომარეობაში მყოფი საქართველო სჭირდება — მუდმივად თავში უნდა გვიკაკუნონ და რაც მოეწონებათ, ის ვაკეთოთ. ევროკავშირი ჩვენგან იმ სტანდარტების შესრულებას, საკანონმდებლო აქტების სინქრონიზაციას, ეკონომიკური დონის გაუმჯობესებას კი არ ითხოვს, მხოლოდ პოლიტიკური მიზნები ამოძრავებს — საქართველომ საკუთარი სახელმწიფო ინტერესების დაცვისკენ არცერთი ნაბიჯი არ უნდა გადადგას. ევროკავშირი სხვა ქვეყნების მიმართ ყოველთვის თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. გავიხსენოთ, როგორ მიიღეს ევროკავშირში ბალტიისპირეთის ქვეყნები, ანდა ყველაზე ჩამორჩენილი რუმინეთი — ეს მხოლოდ პოლიტიკური ინტერესით იყო განპირობებული.

საქართველოს ხან კანონების გაუქმებას სთხოვენ, ხან გვაიძულებენ, ლგბტ პროპაგანდა — ლიბერალური გარყვნილება, რაც ევროპაში დანერგეს, მთავარ პრიორიტეტად ვაქციოთ. არც გამჭვირვალობის კანონი მოსწონთ, რომელიც ქვეყნის დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა, რათა სახელმწიფომ იცოდეს, საიდან ფინანსდება და რა დავალებას ასრულებენ პოლიტკური და არასამთავრობო ორგანიზაციები. 2003 წელს დასავლეთის მიერ შედგენილი ტექნოლოგიით, გადატრიალება მოგვიწყვეს. ქართული სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვას ცდილობს, რაც არ მოსწონთ.

ევროკავშირმა ახალი რეზოლუცია მიიღო, სადაც გარკვეული ჯგუფების მიერ შექმნილი „მომაკვდავი ააკაშვილის“ გათავისუფლებას ითხოვს. „კვდება, კვდებას“ ძახილმა არ გაამართლა და ახლა იმ კაცის გათავისუფლებას ითხოვს, რომელმაც რუსებს ჩვენი ტერიტორიები გადასცა და ზედ სტრატეგიული ობიექტებიც მიაყოლა, რაზეც პასუხი არ უგია. რატომ ითხოვენ მის გათავისუფლებას? საქმე ის არის, რომ რეალურად ევროკავშირს საქართველოს მიღება არ უნდა. თუ ვცდები, მაშინ მიგვიღონ ისე, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნები მიიღეს და ამ თემაზე სპეკულაციები დამთავრდება. როცა ნებისმიერ გაერთიანებაში წევრიანდები, სუვერენიტეტის ნაწილს თმობ, მაგრამ გარკვეულ სიკეთესაც იღებ. ჩვენ რას გვთავაზობენ? — გადატრიალება მოაწყვეთო.

2003 წელს ააკაშვილი პარლამენტში რომ შევარდა, ელჩები მოცვივდნენ, იგი ლეგიტიმურად ცნეს და ამ პროცესს „ვარდების რევოლუცია“ უწოდეს. მერე, მიშამ სისხლის კალოები რომ დააყენა და ტერიტორიები გააჩუქა, იგი „დემოკრატიის შუქურად“ მონათლეს. მათი რა უნდა ვიწამოთ. მან თავად განგვისაზღვრა, როდის უნდა გავწევრიანდეთ, რაზეც დავთანხმდით. „ქართულ ოცნებას“ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ხალხთან მუშაობაა საჭირო და არა ტრიბუნიდან განცხადებების კეთება. საზოგადოება ქვეყნის მართვისა და განვითარების პროცესში ჩართული უნდა იყოს. პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა და არა დაპირისპირების. ჩვენ, ყველა მოქალაქეს სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობა გვაკისრია! უფლება არ გვაქვს, განაწყენების გამო არსებული საფრთხეები არ გავიაზროთ და საქართველო შეუქცევად ნგრევაში შევიყვანოთ. ნუ მოვტყუვდებით, ნუ ავყვებით სხვის თამაშს!

ასე რომ, პრემიერ კობახიძის გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორი ნაბიჯია. ჯერ ერთი, მოლაპარაკებების გახსნა თავად ევროკავშირმა შეაჩერა, რადგან მათი მეხუთე კოლონა ხელისუფლების სათავეში ვერ მოვიდა და ეს ზეწოლის, შანტაჟის მექანიზმად გამოიყენეს. ევროპამ თვითონ განაცხადა, რომ 2030 წლამდე გაფართოებას არ აპირებს. წინ ექვსი წელია. ამ ოთხი წლის განმავლობაში საქართველო ყველა იმ სტანდარტს დააკმაყოფილებს, რაც გასაწევრიანებლად საჭიროა. თუ ევროკავშირს უნდა, ჩვენთან მოლაპარაკებები ახლა გახსნას, ამას არავინ უშლის.

— კობახიძემ აღნიშნა, რომ მთავრობა საბიუჯეტო ტრანშებზეც უარს ამბობს...

— პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების თანხა, დაახლოებით, 60 მილიონია, რისი შეჩერებაც, დღევანდელი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, სახიფათო არ არის. გრანტებზე უარი ითქვა, რათა ეს შანტაჟისთვის არ გამოიყენონ. პრემიერის გადაწყვეტილება პასუხი იყო ევროპარლამენტის მიერ მიღებულ უსამართლო რეზოლუციაზე. ახლა ევროპა უვიზო მიმოსვლის გაუქმებითაც გვემუქრება, თუმცა პროცედურულად ამის გაკეთება მარტივი არ არის. თანაც, ამას მხარს არ უჭერს იტალია, ბულგარეთი და ა. შ. ასევე, რთული იქნება სანქციების დაწესებაც, რადგან ევროპარლამენტის რეზოლუცია აღსრულებისთვის სავალდებულო დოკუმენტი არ არის. უვიზო მიმოსვლის გაუქმება პოლიტიკური შანტაჟი იქნება. ვიმეორებ, მათ არ აინტერესებთ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება, მათი მიზანი ჩვენი დამორჩილებაა. უკრაინელებსაც ეგონათ, რომ მაიდანით სიკეთეს მიიღებდნენ, მოსკოვის გავლენიდან გამოვიდოდნენ და ევროპაში ბედნიერად იცხოვრებდნენ. ამ პროპაგანდამ 2013-14 წლებში იმუშავა, ხალხიც აიყოლია. შედეგად რა მიიღეს? — სისხლისგან დაცლილი, გაუბედურებული, სუვერენიტეტაყრილი და გახლეჩილი უკრაინა. რუსეთის აგრესია დასავლეთის შედგენილმა მაიდანის ტექნოლოგიამ მოიტანა. ჩვენ ეს ეტაპები გავიარეთ და შეცდომის უფლება არ გვაქვს. არ მოვტყუვდეთ! — არცერთი ქვეყანა არ იზრუნებს ჩვენზე და არც არავინ გამოგვესარჩლება, ყველას თავისი ინტერესი ამოძრავებს და ჩვენს პატარა ქვეყანასაც ამ ჭრილში უყურებენ.

— ბოლო წლებში რეზოლუციას რეზოლუცია მოსდევს. სად იყო ეს ხალხი 1990-91-92 და 2008 წლებში?

— საქმე ის არის, რომ საზოგადოების, ახალგაზრდების ნაწილი პროპაგანდის ზეგავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი და ევროკავშირი საოცნებო ადგილი ჰგონიათ. ბევრმა არც იცის, როგორ განიხილავენ ევროკავშირის კულუარებში საქართველოს. სინამდვილეში, საქართველო მათთვის ბუფერია. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არც კი განიხილავენ, რომ ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდეს. მაკრონმა რუკას რომ დახედა, პირდაპირ თქვა: საქართველოს ევროპაში რა უნდაო. მათ სურთ, საქართველო ის ვირი იყოს, რომელიც სტაფილოს მისდევს და ვერ ეწევა.

— ბატონო ლევან, სტუდენტები კვლავ აქტიურობენ, სამმა უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესიც კი შეაჩერა...

— უკრაინის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის კულებას განცხადებაში კარგად არის გაშიფრული, ეს სქემა როგორ მუშაობს. კულება ამბობს: ჩვენ 2013 წელს დემოკრატიის დასაცავად გამოვედით. თუ გინდათ, თავისუფალი იყოთ, თქვენც ქუჩაში უნდა გამოხვიდეთო. ვინ გვეუბნება ამას, უკრაინა? რით არის ის თავისუფალი, რა აქვს თავისი?! ევროპამ და აშშ-მ დახმარება რომ შეუჩეროს, ქვეყანა ჩამოიშლება. ამდენი ხალხი დაიხოცა და ეს არის დემოკრატია?! რა მიიღეს მაიდნისგან, ზემოთ მოგახსენეთ. კულებამ გაშიფრა, რომ დასავლეთს ჩვენთან მაიდანის მოხდენა უნდა, რასაც ვერ ახერხებს. ახალგაზრდები ამას ვერ ხვდებიან, ზოგი მათგანი დაქირავებულია. ბორელმა რომ განაცხადა, სახელმწიფოს აღარ დავაფინანსებთ და ეს თანხა ნჯო-ებს გადაეცემაო, რისთვის აძლევენ? — საქართველოს მაიდანიზაციისთვის. ჩვენ შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების შეცდომაა, კოაბიტაციის ფონზე ნაცები საკვანძო თანამდებობებზე რომ დატოვეს და ახლა ეს ხალხი, მათ შორის, ელჩები „ნაცმოძრაობის“ მიტინგებზე აღმოჩდნენ. ასე არ შეიძლება. სახელმწიფო ინტერესი სახელმწიფო ინტერესია.

უნივერსიტეტები პროტესტს გამოხატავენო, ახსენეთ. ააკაშვილის დედას ტექნიკური უნივერსიტეტი ერთ ლარად გადაეცა. რას ასწავლიან იქ ლექტორები? — ახალგაზრდებს რეალობას კი არ უხსნიან, ყვარყვარიზმს უნერგავენ. განათლების სისტემაში უდიდესი კრიზისია. რა პრეტენზია გვაქვს ახალგაზრდებთან, როცა ისეთი ლექტორები გვყავს, რომელთაც საგანი არ იციან.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტს იმტკიცებს. ახლა სწორედ ამ პროცესში ვართ. საქართველოს, რეგიონის მიმართ ინტერესი უჩნდება ჩინეთს, აშშ-ს. ამ სიტუაციაში, გარკვეული გასაღები ვართ, რაც ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. სუვერენიტეტის განმტკიცებას რომ ვცდილობთ, სწორედ ამისთვის გვსჯიან. ერეკლე მეორემ აღამაჰმად-ხანს ხარკის გადახდა რომ შეუჩერა, თავად-აზნაურების ნაწილი სპარსეთში დარბოდა: გვიშველეთ, ჯარი გამოგვიგზავნეთო. მაშინ სუვერენიტეტის განმტკიცების სურვილის გამო დაგვსაჯეს და ჯარი გამოგვიგზავნეს, ახლა სანქციებით გვემუქრებიან. მსოფლიოში მოთამაშეები შინაარსობრივად იცვლებიან, თორემ სხვა ქვეყნების ინტერესები არ იცვლება. აი, ამ პროცესში ვართ, ახლა ჯარს ვერ გამოგვიგზავნიან, ბომბს ვერ გვესვრიან, მაგრამ ცდილობენ, შიგნიდან აგვაფეთქონ. ამ დროს ახალგაზრდების ნაწილი ვიშვიშებს: ევროპას გვართმევენო. ჯერ არც ვიცით, ევროკავშირისგან რა დარჩება. 2030 წლისთვის, როცა მისი გაფართოება იგეგმება, ექსპერტების თქმით, შეიძლება ევროკავშირი საერთოდ დაიშალოს. ამიტომ ჩვენ დრო გვჭირდება. დიახ, საქართველოსთვის მომგებიანია, მოლაპარაკებების გახსნა 2028 წლისთვის გადაიდოს. რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათთან მუშაობაა საჭირო. ეს კი სახელმწიფომ, განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს.

— ოპოზიცია შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ხელახალ არჩევნებში ხედავს...

— ისინი 2003 წლის სცენარით მოქმედებენ, უბრალოდ, არ გამოსდით. მათ თავიანთ დამკვეთებთან ერთად არ აინტერესებთ, რეალურად რა განაცხადა კობახიძემ, პროპაგანდით სურთ ხალხზე ზეგავლენის მოხდენა და პროტესტის მუხტის გაზრდა. უცხო ქვეყნების ინტერესების გამტარებელი ზურაბიშვილი ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა. მას უნდა, საქართველო ვასალურ მდგომარეობაში დარჩეს და არა სუვერენიტეტი განიმტკიცოს. ახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა არ დგას. მიზეზად ფარულობის დარღვევას ასახელებენ, ამ დროს ამ „დარღვევაზე“ ერთი საჩივარიც კი არ დაწერილა. მაიდანიზაცია უნდა გადავლახოთ და ამ სახიფათო პროცესში არ ჩავერთოთ. ხალხს უნდა ავუხსნათ, რა საშიშროების წინაშეა ქვეყანა.

— ბატონო ლევან, საგარეო უწყების თანამშრომელთა გარკვეული რაოდენობა კობახიძის განცხადებას ემიჯნება. ეს როგორ უნდა გავიგოთ?

— ეს საბოტაჟია. „საბოტაჟნიკები“ ვინც დანიშნა ამ თანამდებობებზე, მან პასუხი უნდა აგოს. არ შეიძლება, ქვეყნის ბედს ეთამაშო და ვიღაცასთან „გაიასნებით“ გადაწყვიტო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ასეთი ხალხის დანიშვნა. მათი მიზანია, საბოტაჟით სახელმწიფოს პრობლემა შეუქმნან და უცხო ძალებს დაანახონ, ქვეყანაში პრობლემაა. ამ „ნამიშრების“ თანამდებობებზე ყოფნა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან სახიფათოა, მით უმეტეს, მაშინ, როცა საქართველო სუვერენიტეტის განმტკიცების გზას დაადგა.

თამარ შველიძე

„ბოლონიის პროცესის“ მოპარული თაობა

„აუ, ერთი ტრუპი გვინდა, რა, ცეცხლზე ნავთი იქნება! ვინმე ბებრუხანას დაკავების დროს რომ გული წაუვიდეს და გაუსკდეს, ტუზკოზირია პროცესზე“, — აი, ასეთი გულანთებული პატრიოტები დგანან რუსთაველზე და თავიანთი „ბებრუხანა“ ბებია-ბაბუების ცხედრებზე გადაბიჯებით მიიჩქარიან იმ ევროპაში, სადაც არავინ ელოდებათ.

საინტერესოა, რატომ ყვირიან ევროპის ნდომით გულანთებულები დროდადრო „საქართველოს“ და არა „ევროპასო“, ვიკითხავდი, მაგრამ პასუხი ვიცი და რატომღა ვიკითხო — ურაპატრიოტიზმის ფონისთვის ასეა საჭირო, თორემ საქართველო რანაირად ენაღვლებათ, როცა თავიანთთვის საკოზირედ „ვინმე ბებრუხანას“ სიკვდილზე ოცნებობენ და აღა მაჰმად ხანის გადავლილს ამსგავსებენ ღამეული თარეშის შემდეგ დედაქალაქის ცენტრალურ გამზირს...

მათ მომზირლებს აინტერესებთ, იმ ბავშვებს, რომლებიც არაერთხელ მოჰყვნენ ამგვარ ვითარებაში, რომ ხან წყლით იწუწებიან სიცივეში და ხან რაღაც ხვდებათ თავში, საკუთარი აზროვნება არ გააჩნიათ, ვერ ხვდებიან, რომ აქციის ორგანიზატორები იყენებენ და მათი ჯანმრთელობაც და მომავალიც ფეხებზე ჰკიდიათო? ერთხელ, ორჯერ, ათჯერ — რამდენჯერ უნდა მოატყუონ, წააქეზონ და მიატოვონ, რომ აზრზე მოვიდნენო?

მოკლედ ვუპასუხებ: ესენი ბავშვები არ არიან. მათი ნაკრები ქუჩისთვის დატრენინგებულ-დაფინანსებული უსახური კრიმინალური ბრბოა, რომელთაც ბევრი რამის დეფიციტი აქვთ, უპირველესად კი ინფორმაციისა და განათლების. სატირალი გამოკითხვები რომ აქვთ ქუჩაში ცალკეული მაუწყებლის ცალკეულ ჟურნალისტებს, რა პასუხებსაც ვისმენთ, იმ განათლების მქონენი არიან. გავიგეთ, რომ წიგნზე ხელის მოკიდება „საშინელებაა“, მაგრამ წიგნის წაკითხვა არ უნდა 9 აპრილის რაობის ცოდნას, თბილისის დაარსების ისტორიას და იმ ელემენტარულის გააზრებას, რომ დათა თუთაშხიას თურქეთიდან ვერ გადმოასვენებენ და ვერც მზეს დაუწევენ 5 გრადუსით, — ნილოსი რომ სვანეთში ჩამოედინება და მისთანებს აღარ გადავწვდები...

ნამდვილი საშუალო განათლების ბოლო მინისტრის დევნა და მასზე თავდასხმები მახსოვს, — ბატონი ალექსანდრე კარტოზიას შემდეგ სასკოლო დონის განათლება სრულიად ჩაკვდა სკოლებში და „ბოლონიის პროცესთან“ საქართველოს მიერთებით საბოლოოდ დამტკიცდა ქართველი მოზარდების ტვინების გამორეცხვის გეგმა-პოლიტიკა .

მე იმ ახალგაზრდების იმედი მაქვს, რომლებსაც პირდაპირი ეთერით ვხედავ ახალგაზრდულ ლიტერატურულ შოუში „წიგნების თარო“; იმ ახალგაზრდების იმედი მაქვს, რომლებიც ამ დღეებში გამოვიდნენ მიმართვით, რომ ყველამ შორს გასწიოს ხელები იმ დედა-უნივერსიტეტისგან, წლებია, დედინაცვლად რომ აქციეს და ახლა დედობრივი ფუნქციების დაბრუნებას ეშურება...

აბა, ასეთი ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა მშობლების იმედი როგორ უნდა მქონდეს, რომ ნორმალურ შვილებს აღზრდიან, რომლებიც აცხადებენ:

მშობლებმა მოვილაპარაკოთ და შვილები აღარ გავუშვათ სკოლაში;

მე ისედაც აღარ ვუშვებ მას მერე, რაც დამრიგებელმა მითხრა, რა გამიკეთა ევროკავშირმაო.

ნიუტონის თავისუფალი სკოლა გმობს და აპროტესტებს ქვეყანაში მიმდინარე არაკონსტიტუციურ პროცესებს. საზოგადოებრივი პროტესტის მხარდაჭერის მიზნით, ორშაბათს, 2 დეკემბერს, სკოლა არ იმუშავებს;

ყველა მოლში დღეს უზარმაზარი რაოდენობის ხალხი იქნება. კარგი იქნება მოლებთან შეკრება და იქ მისული ხალხის გადმობირება;

მეგობრებო, დასავლელ პარტნიორებს რომ ვთხოვთ სანქციების დაწესებას, კარგია, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია სანქციების დაწესება ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში. აი, მაგალითად, იპლუს-ის ქოცი რეკლამა ძალიან კარგი მიზეზია რომ არავინ შევდგათ იქ ფეხი. ფხაკაძეების ვაზელინობა ძალიან კარგი საბაბია იმისთვის, რომ „ვისოლიდან“ სხვაგან გადავიდეთ ყველა. არ ვჭამოთ „ვენდიში“, „დანკინში“ და სხვა. პირველ ეტაპზე გავაკეთოთ 10-20 კომპანიისგან შემდგარი სია (არ გადავტვირთოთ, თორემ არ იმუშავებს) და ამოვიკვეთოთ ფეხი იქიდან. განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ჩვენი ბაბლით საზრდოობს. უნდა მოვინდომოთ და ერთიანობა გამოვიჩინოთ მსგავს რამეებში. არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ვართ! კი, დაქსაქსულები, მაგრამ შინოთ და ასვალტზე დაღვრილ ზეთს ცეცხლი წავუკიდოთ და დავიწყოთ საბურავების სროლა. დედის მ...ი მოე...ბათ სპეცრაზმსაც და მანქანებსაც;

ფულზე გაყიდული სპეცრაზმელებისა და პოლიციელების სია გავაკეთოთ, ოჯახებიანად უნდა ვიცნობდეთ ყველა მონას;

მეგობრებო, ხატები დავიკავოთ ხელში, აბა, ვნახოთ, რას იზამენ, სპეცნაზი დავტესტოთ რელიგიურ გრძნობებზე; (ერთხელ უკვე ეკავათ „ხატები“)

პედაგოგებო, გთხოვთ, გავერთიანდეთ, დავდგეთ იქ, სადაც ჩვენი შვილები დგანან, სადაც ქვეყნის სადარაჯოა! ახლა ვჭირდებით ჩვენს ქვეყანას და მომავალ თაობებს! — პედაგოგებს პედაგოგმა მოუწოდა სოცქსელით და გამოეხმაურნენ, აქ ვართო. ლექტორებიც ვიხილეთ პირდაპირ ეთერში...

განათლების სამინისტრო ერთი დიდი ნაცბალაგანია, ვის რა უნდა მოჰკითხო, თორემ პედაგოგებს თუ არჩეული პროფესიისთვის რომ არ ეღალატათ, ახლა ეს უცოდინართა ბრბო ქვებით კი არ ირბენდა და საკუთარი ქვეყნის დედაქალაქის დანგრევაზე კი არ იქნებოდა გაწვრთნილი, ტვინი ექნებოდა იმდენად გამოწრთობილი, რომ საკუთარ თავს სხვისი მიზნების აღსასრულებლად არავის გამოაყენებინებდა.

მშვიდობიანი რევოლუციის დაკვეთაა გერმანიის ელჩისგან; ქუჩაში გამოსვლის დაკვეთაა შვედის ელჩისგან; ქართული მაიდანი და ნებისმიერი საშუალებით ხელისუფლების შეცვლის დაკვეთაა კრებსითი დასავლეთისგან და მაინც და რაც მთავარია, ბევრი კომპანიის სამიზნე ჯგუფიც ჩვენ ვართ. რეგიონების ქოცი ამომრჩეველი ვერ შეავსებს ჩვენგან გამოწვეულ სიცარიელეს;

უამრავი ზეთი, ტექნიკური, მანქანის ნახმარი ზეთი ჩაისხას ბუშტებში ან განდონებში... სპეცრაზმის წინ უნდა დაესხას ბევრი ზეთი და კირზოვი საპოგებით ისრიალებენ... როგორც წამოვა სპეცრაზმი, პარტყაპურტყით დაეცემიან და ისრიალებენ...ამ დროს უნდა ვესროლოთ ზეთიანი ბუშტები ან განდონები. მზად უნდა გვქონდეს ზეთიანი საბურავები და ეგრევე, როგორც წამოვა სპეცნაზი, დავურასაც ამ უწიგნური ბრბოს გამოვლინებებს ვხედავთ და კიდევ რა გეგმებიც აქვთ, რასაც აკეთებენ, ჯერ კიდევ ცოტაა.

გასულ კვირას განგაში ატყდა, ამჯერად განათლების სისტემაში მომხდარ „რაღაცაზე“, რაც საქართველოს მოქალაქეებისთვის მოკლედ ასე განიმარტებოდა: „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ სასწავლო პროგრამიდან ამოიღო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებები და ქართული ლიტერატურიდან: ილია, აკაკის, ვაჟას და ა. შ. მწერალთა პატრიოტული სულისკვეთების ნაწარმოებები.

მოვუსმინე ბატონ ალექსანდრე წულაძეს, ცალკეულ პირებსაც და როგორც მე აღვიქვი, პროგრამა და სასწავლო გეგმა თვით სკოლის „საქმეა“ და ვერ ასცდება სტანდარტს, სტანდარტი კი არ შეცვლილა, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო ტექსტები კი არც შემცირებულა და არც რამე დამატებია. სიმართლე გითხრათ, ვერაფერი გავიგე, უცეცხლოდ ხომ კვამლი არ ჩნდება.

შემდეგ უკვე ბატონ პრემიერს მოვუსმინე — მე გადავავლე თვალი იმ ჩამონათვალს რომელიც არ შედის სავალდებულო სწავლებაში და დავრჩი გაოგნებული — უბრალოდ, არ შეიძლება, რომ ეს ნაწარმოებები არ შედიოდეს სავალდებულო პროოგრამაშიო; გამაოგნებელია ეროვნული სასწავლო გეგმის მიღებული მიმართულებები — რატომ ხდებოდა გარკვეული საგნების მეორე პლანზე გადაწევა; რატომ ხდებოდა კონკრეტული საგნებიდან გარკვეული მასალების ამოღება — ეს ხდებოდა წლიდან წლამდეო; ეს პროცესები დაიწყო დაახლოებით ოცი წლის წინათ სისტემურად — თქვენ გახსოვთ, ვინ იყვნენ განათლების მინისტრები წინა ხელისუფლების დროს, — და სისტემურად ხდებოდა სასწავლო პროგრამიდან და სახელმძღვანელოებიდან იმ მასალის ამოღება, რომლებიც აღვივებს მოსწავლეში პატრიოტულ სულისკვეთებას, დამოკიდებულებას საკუთარი ეროვნული იდენტობის მიმართ, შეგნებულად მიმდინარეობდა ეს პროცესები და სამწუხაროდ, გაგრძელდა 2012 წლის შემდეგაც.

რომ დაიწყო, გაგრძელდა და გრძელდება, ამიტომ აქვეყნებდა „საერთო გაზეთი“ განათლების სისტემის შესახებ წერილების ციკლს, მაგრამ სად იყო წამკითხველი, გამგები და გადაწყვეტილების მიმღები...

ჩაეხსენით ამ დაწყვლილ „ბოლონიის პროცესს“!

დაუბრუნეთ მასწავლებელს ღირსება!

დაამსგავსეთ მოსწავლე მოსწავლეს და სკოლა — სკოლას!

უპირველესად, მასწავლებელს დაუბრუნეთ მისთვის მიძღვნილი სიტყვების გასიგრძეგანების სურვილი, „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი!“

გამოაწრთობინეთ ქართული სულის მასწავლებლებს „ქართული სუფთა დაფები“!

საკმარისია გიგი თუთაძის დაცინვა, რომ ისე მოგვპარეს თაობები, ვერ გავიგეთ. გავიგეთ, ვხედავდით, მაგრამ რა შეგვეძლო ნულოვანი ტოლერანტობის ფონზე?

2012 წლიდან ამ დღემდეც არავის გახსენებია დაცხრილული განათლების სისტემა და რა ვიცი, ვეღარ ვიჯერებ, რომ ვინმეს განათლების სისტემის გაჯანსაღებისა და ფეხზე წამოყენების სურვილი გაუჩნდება...

ზოგადად კი, რაგინდ სახელმძღვანელოები და სასწავლო გეგმა გადაისინჯოს, სანამ საბავშვო ბაღებიდან დაწყებული, სკოლებში პედაგოგები და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული სულისგან სრულად დაცლილი, „ძალიან ევროპელი“ ლექტორები გვეყოლება, რომლებიც ორღობეებში გახსნილი სასწავლებლების დიპლომებით არიან გალაღებულები, საქართველოს მომავალი თაობა მუდამ უკან მიმავალი იქნება...

მაია ჭელიძე

facebook

ნინიკო მშვიდობაძე: უთხრეს, რუსულიაო და დაიჯერეს!!!

იცით, როდის დაიწყო ტვინების გამორეცხვა? როცა 24 წლის ლაშა ბუღაძემ თავისი „პირველი რუსი“ დაწერა და ვითომ კი ავხმაურდით, მაგრამ ამ ხმაურმა ეს მოთხრობა მისი ავტორი კიდევ უფრო პოპულარული გახადა, იმდენად პოპულარული, რომ ერთმა ჩემმა თანატოლმა (ნუ, მაშინ, როცა ეს მოთხრობა დაიწერა, ორივე გაცილებით ახალგაზრდები ვიყავით), მითხრა: ბუღაძე გმირია, ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა, რომ თამარ მეფე ბოზიაო(!!!).

ანუ მარტივად შემოგვასაღეს: თქვენი წმინდანად შერაცხული მეფეები და დედოფლები ჩვეულებრივი გარყვნილი მონარქები იყვნენ და მეტი არაფერიო.

გავა ზუსტად ცხრა წელი და ახლა უკვე 20 წლის ერეკლე დეისაძე დაწერს თავის გახმაურებულ რომანს „საიდუმლო სირობა“, სადაც სიტყვასიტყვით ამბობს:

„მე მიდგებოდა, როცა დედა პირჯვარს იწერდა“...

ეს რომანიც არაადეკვატური ხმაურით მივიღეთ, რითაც ხელი შევუწყვეთ ავტორის გაპოპულარებას. სამაგიეროდ, კიდევ ერთი რამ შემოგვასაღეს მარტივად: თქვენი რწმენა სულაც არაა მტკიცე, ისეთი ვადა და ყავლგასულია, რომ შეგვიძლია სექსთან და მით უფრო, ინცესტთან გავაიგივოთო.

წლების შემდეგ რატი ამაღლობელი, რომელიც ამავდროულად, თი-ბი-სი ბანკთან ერთად ლიტერატურული პრემია „საბას“ დამფუძნებელია, ერთ-ერთ ინტერვიუში იტყვის, რომ ყველა ლექსის წერას იწყებდა ტუალეტში....

მანამდე კი, 2011 წელს დათო ქარდავა დაწერს რომანს „ტუალეტში საკითხავი“, რომელიც იმავე წელს პრემია „საბას“ ლაურეატი ხდება.

ასე შემოგვასაღეს შემდეგი: ის, რაც ქართველისთვის ასოცირდება ადამიანის ამაღლებულ გრძნობებთან, ის, რაც ქართველისთვის სულის სიმების შემრხევია, რაც სათუთად ეხება მის გრძნობებს, ანუ პოეზია, იმდენად მდაბალ საფეხურზე დაიყვანეს, იმდენად გაამატერიალურეს, რომ დეფიკაციის აქტთან გააიგივეს.

განსაკუთრებული ლექსიკით გამოირჩა მწერალი ზაზა ბურჭულაძე, რომელიც ერთ-ერთ გახმაურებულ რომანში (ხმაურიანი კი სწორედ ლექსიკის გამო გახდა), დაწერს: „ესაა ნამდვილი მინეტი. წმინდანთა დისციპლინა: პირში სპერმა, გულში ლოცვა“...

ტრენდი: ლოცვის შედარება სექსუალურ აქტთან, ანუ ლოცვის - ამ ზეაღმატებული მდგომარეობის, უხილავი კავშირისა წმინდანებთან - გაიგივება ყველაზე ცხოველურ აქტთან, რომელსაც ძაღლები პირდაპირ ქუჩაში ასრულებენ!!!

2011 წელსვე წარსულში თორაძეების მკვლელობაში ეჭვმიტანილი და მხედრიონელი ნიკოლოზ რურუა, სააკაშვილთან დაპირისპირების გამო (კონკრეტულად ამ გამონათქვამის: სააკაშვილი სომეხია და ეს დამალული არ არის

არავისთვის), თანამდებობიდან ათავისუფლებს რობერტ სტურუას.

ისევ შემოპარებულ-შემოსაღებული: მერე რა, რომ ცნობილი სახეა, ქსენოფობიას (ასე შეფუთეს) არავის ვაპატიებთ (რეალობაში, გაგვაფრთხილეს, რომ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ წასვლას არავის გვაპატიებდნენ).

ძალიან მალე მხატვარი და აქტივისტ-ფემინისტი ლია უკლება თავის ნამუშევრებს გამოფენს, რომელსაც პროპაგანდისტული ტელევიზიები აიტაცებენ: თვითმკვლელი ღვთისმშობელი, ტრანსგენდერი ქრისტე, კაცების სამაია...

ერთი-ორი პროტესტი, რომელიც პროპაგანდისტებმა ისევ გამოხატვის თავისუფლების ჩახშობად გაასაღეს, არადა, თუკი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე მიდგა საქმე, თუ შენ გაქვს უფლება დახატო, რაც გინდა, შესაბამისად, მეც მაქვს უფლება ვთქვა, რომ შენი ნახატი არ მომწონს. მაგრამ არა, მეორე მხარეს, ამ ფსევდოლიბერალების აზრით, არ აქვს უფლება, ჰქონდეს განსხვავებული შეხედულება, რადგან ასეთ შემთხვევაში იოლად მიაკრავენ ბნელის, ჭაობის გადმონაშთის იარლიყს, რომელიც (ეს აუცილებლად სათქმელია, ტრენდულია): რუსულად აზროვნებს!

შემოგვაპარეს: იესო და მარიამი ხელშეუხებელნი არ არიან. მათი გაშარჟება ისევე იოლია, როგორც იოლია, პრეზერვატივებს დაახატო ქართველი მეფეები და დედოფლები!!!

სოციალურ ქსელში დიდი კამათი მომიწია პოლიტიკურად განსხვავებული ორიენტაციის მქონე წარსულში მეგობართან. ის წერდა, რომ დავით აღმაშენებლის დიდგორის ბრძოლა სულაც არ ყოფილა ისეთი სამაგალითო და დიდებული, როგორიც გვგონიაო. წერდა, რომ მტრის რიცხოვნობა გაზრდილია, რომ 200 მხედარი ურიცხვი მტრის ბანაკში ვერ შეიტანდა არეულობას. კამათი სწორედ ციფრებზე აპელირების გამო მომიწია და მივხვდი, რომ ეს „მეგობარი“ არ იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ცდილობდა, რომ დიდგორის ბრძოლა წვრილმანებამდე დაეყვანა და ასე დაეკნინებინა მისი როლი მსოფლიო ისტორიაში. დიახ, მსოფლიო ისტორიაში, რადგან ქართველთა ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ მართლა დიდი როლი შეასრულა მსოფლიოს შემდგომ განვითარებაში

შემოპარებული ტრენდი: არ გვაქვს ქართველებს არავითარი დანიშნულება. არ გვაქვს ისტორიული მისია, არც გვქონდა. ზღაპარი და მითია ჩვენი იგავმიუწვდომი ბრძოლები...

შემდეგი შემოპარებული თემა იყო თემა ანბანის თაობაზე, როცა გვითხრეს, რომ მსოფლიოში 14 ანბანი მითია და რომ ეს არ უნდა დავიჯეროთ! რომ სულაც არაა აუცილებელი ვისაუბროთ დახვეწილი, სწორი ქართულით, სამაგიეროდ, აუცილებელია გამოვიყენოთ ისეთი ინგლისური სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა შეიძლება, არცკი ვიცოდეთ, მაგრამ ტრენდულია და დავამკვიდრეთ ამ ჩვენს უმდიდრეს ენაში: ვორქშოპი, ბულინგი, ქოუჩინგი, თინეიჯერი...

რაც მთავარია, ეს თაობა დააჯერეს, რომ ზემოთნახსენები პირები არიან მეტრები პოეზიაში, მწერლობაში, მხატვრობაში. რომ მათ სიტყვას აქვს ფასი და წონა და მათი ნებისმიერი გამონათქვამი, მათ მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა მივიღოთ უპირობოდ, კითხვების დასმის გარეშე. ხოლო თუ თქვი, რომ ესენი სულაც არ არიან მეტრები, ისევ დაგიძახებენ ბნელს, კომუნისტური აზროვნების მქონეს, მონას...

აღარ გავაგრძელებ, ასე ნელ-ნელა და მიზანმიმართულად გააკეთეს ყველაფერი, რომ ერთ დღესაც ქართველი გოგონა გამოსულიყო ეთერში და ეთქვა: ქართველებს არ გვაქვს არც კულტურა, არც საამაყო წარსული, რომ საერთოდ დაცლილები ვართ ყველაფრისაგან და მიჩვეულები ვართ მონობას (არ მოგესმათ, მიჩვეულები ვართ).

ამ თაობას, რომელსაც ეს გოგონა წარმოადგენს, მიზანმიმართულად გამოაცალეს ყველაფერი ფასეული და ღირებული, რაც წარსულთან გვაკავშირებს: მის თვალწინ იოლად დასცინეს: ენას, რწმენას, სამშობლოს. მის თვალწინ გადაუარეს ქართულ კულტურას, პოეზიას, რომანებს, თეატრს, მხატვრობას. ლიფტი მიუშენეს ბაგრატის დიდებულ ტაძარს, „ბეტეერებით“ დაარბიეს გლდანის ეკლესია, მის თვალწინ დაანგრიეს ფერიას მთაზე მშენებარე ეკლესია, აგინეს პატრიარქს, მამათმავლობა დააბრალეს მოძღვრებს, დასცინეს შოთას - დიახ, ეს ყველაფერი გააკეთეს მაშინ, როცა თაობა, რომლის ნაწილი დღეს რუსთაველზე დგას, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო და კრიტიკის უნარი, შესაბამისად, გააქტიურებული არ ჰქონდა.

ამიტომ გასაკვირიც აღარაა: არც ის, რომ ტრენდად იქცა სამი თითის კომბინაციით კამერების წინ პოზირება; არც ის, რომ მისაღები გახდა უცენზურო სიტყვები იმათ მისამართით, ვინც მათსავით არ აზროვნებს; არც ის, რომ გოგონებიც ისევე იქცევიან ასე, როგორც ბიჭები, რადგან ჯაფარიძის პარტიამ მათ მორიგი სატყუარა გადაუდგო მარიხუანას დეკრიმინალიზაციით.

და ბოლოს, ისევ ჯაფარიძის პარტიას დავუბრუნდები: ახალგაზრდა ბიჭები უარს ამბობენ ჯარში მსახურებაზე რწმენის შეცვლის სანაცვლოდ, ანუ მათ მენტალობაში საბოლოოდ ამოძირკვეს ვალი მამულის წინაშე, ამოძირკვეს რწმენის პატივისცემა.

ზოგადად, დღეს უკვე არავინ საუბრობს ბავშვის ან ადამიანის მოვალეობებზე, გვესმის მხოლოდ უფლებებზე საუბარი, ამდენად ვიღებთ თაობას, რომელიც ფიქრობს, რომ ყველაფრის უფლება აქვს, მაგრამ მოვალეობები არ გააჩნია.

facebook

გია ნუცუბიძე: მშობლები არიან ამის მოთავეები

წესიერი ხალხის გასაგონად, თავად შევესწარი, 128 საჯარო სკოლაში როგორ ცდილობდნენ უბნელი ახალგაზრდა ბიჭები აგრესიული პედაგოგებისა და სკოლის „სეკურციის“ დაშოშმინებას რომლებიც მე-5 მე-6 და ასე შემდეგ კლასის მოსწავლეების გამოყვანას ცდილობენ მომიტინგეთა მხარდასაჭერად, საკრალურ მსხვერპლს ამზადებენ ესენი, ბავშვებიც აგრესიულად ყავთ განწყობილები და, ხშირ შემთხვევაში, მშობლებიც არიან ამის მოთავეები. ასეთივე მდგომარეობაა, „კომაროვსა“ და სხვა სკოლებში, სოხუმის უნივერსიტეტში და სხვაგანაც, თავად მშობლები ცდილობენ, ჩაშალონ სასწავლო პროცესები და ერთმანეთს მოუწოდებენ, ბავშვები სხვაგან გადამისამართონ.

მაქსიმალური სიფრთხილე გვმართებს, ბიჭებო, ეს რეგვენები ვერ ხვდებიან, რას სჩადიან? ერთ ბავშვს თმის ღერიც რომ ჩამოვარდეს თავიდან, ლიდერებიან პედაგოგებიანად საშინელება ელით, რადგან ამ პროცესებს ისინი უნთებენ ცეცხლს.

ყველა მშობლის საყურადღებოდ! ამათ თქვენი შვილები და ქვეყნის მომავალი ფეხზე ჰკიდიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვების ზურგს არ ამოეფარებოდნენ. ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებებშიც ისმის გაფიცვისკენ მოწოდება, სადაც შევესწარი, იქ თავად მედპერსონალმა გასცა საკადრისი პასუხი „აჯანყებულს“! მაქსიმალური სიფრთხილე და სიფხიზლე გვმართებს, რადგან ბავშვები ჩართეს ამ პროცესებში, ესე იგი დანიგანი და ჰერჩინსკი მათი სისხლის დასაღვრელად ამზადებენ ზონდერ ჯგუფებს. მზადყოფნა ნომერი ერთი! ყველა ჩემს მეგობარს მივმართავ, ოღონდ ჯერჯერობით ადგილებზე, უბან-უბან, სკოლა-სკოლა შეევცადოთ ამ მოვლენების ხელის შეშლას! მაქსიმალურად გადავაზიაროთ, თხოვნაა, პირველივე შემხვედრმა გააზიაროს და მერე სხვა დანარჩენმა! აქ მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე თავით ვაგებ პასუხს!

ხელისუფლებისგან მოვითხოვ ადეკვატურ სიმტკიცეს!

გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ მაისურაძე

- ბატონო თემურ, ქვეყანა ღრმა კრიზისის წინაშე დადგა. როგორ შეიძლება ამის გადაწყვეტა კონსტიტუციურ ჩარჩოებში?

- ახლა ხელისუფლებას სისუსტის გამოჩენის არავითარი უფლება არ აქვს. საჭიროა ძალიან მტკიცე მოქმედება, ოღონდ კანონის ჩარჩოებში, ვიღაცებისთვის ყოველგვარი „დემოკრატიის“ მტკიცების გარეშე. დასავლეთმა, ფაქტობრივად, პირდაპირ გვითხრა, რომ რევოლუცია უნდათ საქართველოში, სხვა ხელისუფლება უნდათ, ამიტომ ჩვენი სიმართლე არ აინტერესებთ! ყველაზე მეტად რაც მაღიზიანებს, ეს არის აკვიატებული სლოგანი: „ღირსებით ევროპისკენ!“ - რა ღირსებით?! დედას გაგინებენ, სანქციები დაგადეს, არ აღიარებენ შენს სიმართლეს, ვერ ხედავენ შენს მისწრაფებას ევროპისკენ, მთელი დიპლომატიური კორპუსი აგიჯანყდა და ამბობს, რომ შენი არ სჯერა! ამ შემთხვევაში ვის ეკეკლუცები, ვის რას უმტკიცებ?! - ამ დროს უნდა თქვა, რომ სხვა ალტერნატივაც გაქვს და წესიერად მოიქეცით, ჩემო კარგებო, კანონის ჩარჩოებიდან ნუ გადიხართ!

აპროტესტონ ქუჩაში, ჩვეულებრივ ჩარჩოებში, რამდენიც უნდათ, მაგრამ დამტვრეულ ძვლებზე ვუპასუხებდი ძვლების დამტვრევით! გარდა ამისა, როცა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ არ აპირებენ მშვიდობით აქციების ჩატარებას და ზღვარს გადადიან, ღამის 10 საათის შემდეგ უნდა დააწესო ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე კომენდანტის საათი. გაეთრიონ ქალაქგარეთ და აპროტესტონ, რამდენიც უნდათ! ამას სჭირდება სერიოზული, მტკიცე ხელი, რამდენჯერ უნდა დაგიწვან თვალები შუშხუნით? ვერ ნახეთ, საფრანგეთმა რა გააკეთა? რა მოხდა კაპიტოლიუმის შენობაში მსგავსი აგრესიის შეჩერების დროს? - ათასობით ადამიანი დღესაც ციხეში ლპება. ვის რას ვუმტკიცებთ, ვერ გავიგე.

- კეკლუცობა ახსენეთ, მაგრამ მე უფრო მიმაჩნია, რომ ხისტი განცხადება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა, რამაც, განმარტების მიუხედავად, სიტუაცია გაამწვავა.

- პრემიერს რომ ეს ხისტი განცხადება არ გაეკეთებინა, როდესაც ევროკომისია თავის სიტყვას იტყოდა, დაიწყებოდა კიდევ ერთი ავჯანყება. ეს იყო გათვლილი. თუმცა, „ხისტ განცხადებას“ სჭირდება უკვე პასუხის გაცემა ხისტი კანონის ჩარჩოებში. საქართველოში „ლიბერალური“ ევროპის აღრავის სჯერა იმ ყველაფრის ფონზე, რაც ხდება უკრაინაში და რაც ხდება მსოფლიოში. რამდენი ხანია ვამბობ, - ხალხო, აჩვენეთ საქართველოს მოსახლეობას „მთვარის მეორე მხარეც“, - აჩვენეთ, ეს დამპალი ევროპა რა დღეშია თვითონ შიგნით, აჩვენეთ რეალური ევროპა! თუმცა, როდესაც 30 წლის განმავლობაში „ვივა-ევროპის“ ტყვეობის ქვეშ ხარ და დღეს გინდა ვითომ, რომ სიმართლე თქვა და ამ დროს „ღირსებით ევროპისკენო“ გაიძახი, საერთოდ ვიღას სჯერა შენი?! ხალხმა ხმა მოგცა მშვიდობისთვის და დაიცავი ეს მშვიდობა ახლა!

ეს ახალი პარლამენტარებიც რომ დაზეპირებულივით ერთსა და იმავეს იმეორებენ, ისეთი ხალხი მაინც გამოიყვანეთ, ვისიც ხალხს ჯერ კიდევ სჯერა! ხელისუფლებას ყველაზე დიდი დემოკრატიით უნდა თავის გამოჩენა მაშინ, როდესაც არავის ესმის ეს მისი დემოკრატია, როცა ქუჩაში პირდაპირ ღია ცეცხლს უხსნიან, ამას გვაყურებინებენ ყოველდღე და არ შეუძლიათ, რომ ქუჩა ბოლომდე გაწმინდონ! დიდი ბოდიში, მაგრამ როგორ უნდა ვიჯდე სახლში მშვიდად? - ისევ სააკაშვილი მინდა?!

ერთი ვინმემ დაამონტაჟეთ და დადეთ 2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისის და ახლანდელი აქციების შედარებითი ვიდეოკოლაჟი და დაინახავს ყველა ვინ - ვინაა! შეახსენეთ, განსაკუთრებით, მედროვე მანქურთ პრეზიდენტს, პოლიტიკანებს, დიპლომნაყიდ „იურისტებს“ და მისთანებს, ათქმევინეთ აზრი მაგაზე... საუკეთესო ლუსტრაცია გამოვა!

- თუმცა პოლიციის მხრიდან ძალადობის შემთხვევა ამ აქციებზეც ვნახეთ, მათ შორის, თავდასხმა ჟურნალისტებზე...

- რა თქმა უნდა, ძალადობა ნებისმიერი მხრიდან დასაგმობია, მაგრამ როდესაც საათობით ამყოფებ პოლიციელებს თმენის რეჟიმში, რომლებსაც ესვრიან, რომლის წინააღმდეგაც პირდაპირ ცეცხლი აქვთ გახსნილი და ბრძანებას არ აძლევ, რომ მანაც შესაბამისად იმოქმედოს, კანონის ფარგლებში, 5-6 საათით რომ ალოდინებ, გახსნილი ცეცხლის პირისპირ, როცა ფოიერვერკებს უმიზნებენ სახეში და მერე გაუშვებ დასარბევად, ისიც ჩვეულებრივი ადამიანია და ვეღარ ზომავს! აი, ეს არის სიმართლე. ჭარბი მიმტევებლობით გამწარებული პოლიციელები შემდეგ უკვე უშვებენ შეცდომებს. პირდაპირ რომ იარაღით მესროლო და მერე ჩემგან აბსოლუტური სიმშვიდე მოითხოვო, ეს ნორმალურია? თორემ, რა თქმა უნდა, პოლიციელს აქვს თმენის მეტი ვალდებულება და ძალადობა მისი მხრიდან გაუმართლებელია!

ეს საზოგადოებრივი ტელევიზია კი, მაინცდამაინც ისევ „ნაცებმა“ უნდა დაიპყრონ? არ შეიძლება, რომ იქ საღი აზრის მქონე ადამიანები მიიწვიონ, ვისაც შეუძლია, რომ საზოგადოებას ალტერნატიული გამოსავალი შესთავაზოს? გამოვიდეს სოსო მანჯავიძე, გამოვიდეს ირაკლი გოგავა... უამრავი ადამიანია, რომლებსაც შეიძლება აზრი ჰკითხო და ენდო, მაგრამ იქაც ხომ „ლიბერალები“ სხედან და, ფაქტობრივად, უფრო მეტად „ლიბერალები“ ებრძვიან შედარებით ნაკლებ „ლიბერალებს“. ეს კაცი გინახავთ? თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები დარჩნენ საქართველოში, ვისიც ხალხს სჯერა და ამ ადამიანების უგულებელყოფა როგორ შეიძლება? ხომ ხედავთ, რას აწერენ პარლამენტის შენობას? – „სპორტის სასახლე“ და კიდევ აღარ მინდა შეურაცხმყოფელი სიტყვები ჩამოვთვალო! რასაც კადრულობენ, ამას სჭირდება რეალური უკუქმედება!

წარმოიდგინეთ, რომ მე ვარ ინტელიგენტი, პროფესორი ადამიანი და ქუჩაში ახალგაზრდების ბრბო დედას მაგინებს, მე კი - უკაცრავად, იცით რა, არ შეიძლება ეგრე საუბარი-მეთქი, ვეუბნები. ესენი ისევ მაგინებენ და მეც ვუმეორებ, რომ უხერხულია ასეთი ლაპარაკი, ისინი ისევ დედას მაგინებენ... და მე კიდევ რამდენ ხანს უნდა გავაგრძელო დედის მაგინებლებთან ენის მოჩლექით საუბარი?! თუ მუშტი უნდა დავუბრუნო სახეში?! იმიტომ, რომ გონებიდან გადასულ ადამიანს ადამიანურად ვეღარ დაელაპარაკები. ან უნდა წაიყვანო, უმკურნალო, ან არაადეკვატურს უნდა მოექვე არაადეკვატურად! ადამიანი, რომელიც გონებიდან გადადის, სამწუხაროდ, მხოლოდ ცხვირპირის დამტვრევის ან მკურნალობის შემდეგ მოდის გონებაზე. ხალხს, ვისაც კარგად გვესმის, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა და ვდგავართ „ქართული ოცნების“ მხარეს, ყველაფერის კი არ გვჯერა! - გვესმის, რომ სხვა ალტერნატიული გამოსავალი საქართველოში დღეს არ არის! ახლა მაინც ხომ არის საჭირო ხელისუფლების ადეკვატური პასუხი?!

- ანუ თქვენ ხელისუფლების პასუხს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ადეკვატურად არ მიიჩნევთ და მათგან რადიკალურ ქმედებებს მოითხოვთ?

- ახლა საჭიროა სიმკაცრე! როცა ხედავ, რომ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ გავაფრთხილეთ, რომ არ გამოვიდნენ საპროტესტო აქციის კანონიერი ჩარჩოებიდან და ისინი მაინც ამას აკეთებენ, მაშინ კომენდანტის საათის გამოცხადების ერთი ადგილი უნდა გქონდეს! რას ჰქვია, არ დაგემორჩილებიან! მაგ დროს უკვე შეიარაღებული ძალები დგებიან და სერიოზული იარაღი უჭირავთ ხელში, საღებავიანი ბუშტები კი არა! ეგრე სად არის, სახელმწიფოს ინტერესები ვიღაც „ხურუშიანებს“ გადავაყოლოთ?! მაინცდამაინც ისე უნდათ, რომ რუსის ჯარი შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში? რუსეთის ჯარი ხომ თბილისთან 25 კილომეტრში დგას! ეს ყველაზე წამგებიანი იქნება საქართველოსთვის, რუსეთი იძულებული გახდება, რომ ამ დასავლურ აგრესიას ჩვენს მაგივრად უპასუხოს და მერე მოგებული სახელმწიფო კი არ ვიქნებით რეგიონში, რომელსაც პირობების გაცვლა შეუძლია, ვიქნები „ჩმორი“, რომელსაც გადაუვლიან და გადმოუვლიან!

ხელისუფლებისგან მოვითხოვ ადეკვატურ სიმტკიცეს, იმიტომ, რომ მისი სისუსტე დღეს, ნიშნავს ოპოზიციის გაძლიერებას! ოპოზიცია არის სუსტი, მაგრამ თუ ხელისუფლებამ სისუსტე აჩვენა, ეს პროპორციულად გააძლიერებს მას, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან წამგებიანი იქნება. ეს შეიძლება სერიოზულ სამოქალაქო დაპირისპირებამდეც მივიდეს, რადგან ჩვენ, საქართველოს მოსახლეობას, „ქართული ოცნების“ მილიონზე მეტ ამომრჩეველს, რომლებსაც აქამდე ხმა არ ამოგვიღია და კიდევ ხელისუფლების იმედი გვაქვს, ქუჩაში გამოსვლა მოგვიწევს. მერე დავინახავთ, იმ „ლიბერალურ“ ძალებს რაც მოუვათ, მაგრამ ეს იქნება ძალიან ცუდი სახელმწიფოსთვის, რაც ჩვენ ერთხელ უკვე გავიარეთ!

ნონა ქარქაშაძე

საქართველოო, გაჰყვირიან და ირგვლივ ყველაფერს ცეცხლს უკიდებენ

„გირტყამდნენ, სანამ არ დაიღლებოდნენ, არ არჩევდნენ დიდსა და პატარას, განსაკუთრებით მაინც ახალგაზრდებს არ ინდობდნენ. ყველაზე მაგრად პატარა ბიჭებს ურტყამდნენ წიხლებს, ძირითადად, სასქესო ორგანოებში. ამ ცემა-ტყეპას და წამებას აწყობდნენ კამერის გვერდით, აბანოში და იქიდან ისეთი ამაზრზენი ხმები გამოდიოდა, შენდა უნებურად, უკვე მკვდარი იყავი!“ ამის შესახებ „საერთო გაზეთთან“ სააკაშვილის რეჟიმის მიერ კიდევ ერთი დაზარალებული ირაკლი კეკელია საუბრობს. შედეგად, ის ახლა ეტლით მოსარგებლეა და არანაირი მატერიალური ქონება აღარ გააჩნია. როგორ დაკარგა ყველაფერი და ვის გამო აღმოჩნდა ციხეში ყოფილი ბიზნესმენი, ინტერვიუდან შეიტყობთ:

- მე ვარ ირაკლი კეკელია, პროფესიით მშენებელ-ინჟინერი. თუკი რამ საქართველოში მომხდარა, ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული, ყველაფრის ეპიცენტრში ვიყავი. ვიყავი „მრგვალი მაგიდის“ წევრი, რადგან, ჩემდა საუბედუროდ, მეგონა და მწამდა, რომ პატრიოტი ადამიანის გვერდით ვიდექი. პირველი იმედგაცრუება და ღალატიც სწორედ მაშინ ვნახე, აკაკი ასათიანის პარტიაში, პუტჩის დროს, როცა მწერალთა სახლს ვიცავდით თავდამსხმელებისგან. შუა ბრძოლაში მიგვატოვა მაშინ კაკო ასათიანმა, გაიპარა ბათუმში და დაგვტოვა უიარაღოდ, ერთი ჟანგიანი პისტოლეტის ამარა, როცა უამრავი ადამიანი გვიტევდა. ძლივს გადავურჩით სიკვდილს, მხოლოდ იმის გამო, რომ, რაც მართალია-მართალია, დაგვინდო ვაჟა ადამიამ და კაცურად გამოგვიშვა, თითი არ დაუკარებია ჩვენთვის...

შემდეგ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, რამდენიმე წელი თბილისის მერიაში ვმუშაობდი, არქიტექტურის სამსახურში. მოგვიანებით კი, მეგობრებთან ერთად, საკუთარი არქიტექტურული სამშენებლო კომპანია დავაარსე და მშენებლობის ბიზნესში ჩავერთე.

საკაკაშვილის ხელისუფლებამ პირველად 7 ნოემბრის მიტინგზე ამომიღო მიზანში. მაშინ საკმაოდ შეძლებულად ვცხოვრობდი, უკვე წარმატებული კომპანია მქონდა, ეკონომიურად წელში გამართული ვიყავი და სწორედ იმ დროს დავუშვი ყველაზე დიდი შეცდომა. დავიწყე მოღალატე გუბაზ სანიკიძის პარტიის დაფინანსება. მაგათ ვაკის ოფისს თავიდან ბოლომდე მე ვინახავდი, თანამშრომლებს ხელფასს მე ვუხდიდი, ოფისის მოწყობა, ავეჯი, ტექნიკა, კომპიუტერები, ნაღდი ფული... ყველაფერი ჩემზე იყო. ერთხელ, როდესაც მათთან ნაღდი ფულის გადასაცემად მივედი, ოფისში გუბაზი არ დამხვდა. ფული კახა შარტავას გადავეცი, ვუთხარი, ეს ჩემგან საჩუქრად-მეთქი და წარმატებები ვუსურვე. ღმერთმა დამიფაროს, რომ კახაზე, ამ წესიერ ადამიანზე, მსგავსი რამ ვიფიქრო, მაგრამ მის გარდა იქ რამდენიმე კაცი იყო და ვიღაცამ ხმა გაიტანა. გამორიცხული არ არის, რომ ვიღაც იყო შემოგზავნილი. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია მალევე საკაშვილის ყურამდე მიიტანეს და იმ დღიდან დაიწყო ჩემზე „ნადირობა“. ამ ამბის შემდეგ, სადღაც 10 დღე იქნებოდა გასული, როცა ოფისში შემომიცვივდნენ, გამინადგურეს ყველაფერი, გამიყინეს ანგარიშები და დამაპატიმრეს.

- ანუ, პირდაპირ გუბაზ სანიკიძის დაფინანსებას უკავშირებთ თქვენს დაპატიმრებას?

- რა თქმა უნდა! მთელმა ჩემმა სამსახურმა იცოდა, რომ მიშა არ მიყვარდა და არ მომწონდა, მაგრამ მხოლოდ ამ მიზეზით არ მგონია, დავეკავებინე. ჩვენ ვყიდულობდით ხის მასალას მშენებლობისათვის და მაშინ ამ მასალის ერთადერთი შემომტანი საქართველოში იყო ვანო მერაბიშვილის მამა, სერგო მერაბიშვილი, რომელსაც სხვადასხვა ფირმა ჰქონდა. მაგის მეტს ხეტყე არავის გამოჰქონდა ბაზარზე.

სერგოს თავისი ერთ-ერთი ფირმა გაფორმებული ჰქონდა ვიღაც მძღოლზე, ვისგანაც ჩვენ მასალა შევიძინეთ და ამავე მძღოლზე იყო გამოწერილი ანგარიშფაქტურები. მოახერხეს ისე, რომ თითქოს ეს ანგარიშფაქტურა ყალბი იყო, დაგვდეს ბრალი, რომ, ვისგანაც მასალა ვიყიდეთ, ვითომ იმასთან ვიყავით შეკრული და სახელმწიფოს გადასახადებს ვუმალავდით. ის საცოდავი მძღოლიც მოიყვანეს სასამართლოზე და „აღიარებინეს დანაშაული“, მაგრამ მისთვის არაფერი მიუსჯიათ. ჩვენ, სამ კაცს - მე, კიდევ ერთ დამფუძნებელს და ფირმის დირექტორს კი 30-30 წელი მოგვისაჯეს. შემდეგ, საპროცესო გარიგების თანახმად, სამივემ ერთად 1.700 000 ლარი გადავიხადეთ და ეს 30 წელი 3 წლამდე შეგვიმცირეს. ამ დროს ანგარიშებიც დაყადაღებული გვქონდა და თუკი რამ ქონება გვებადა: მანქანა, სახლი თუ ნივთი... ყველაფერი სულ ნახევარ ფასებში გაგვაყიდინეს.

- გუბაზი არაფერში დაგეხმარათ?

- რას ამბობთ! გუბაზ სანიკიძე ხომ კაცი არ არის, ეგ არის მთხლე! პროკურორმაც კი გვითხრა დაკითხვაზე, იქნებ, ის კაცი შეაწუხოთ და რამით დაიხმაროთ, ვის გამოც ამ დღეში აღმოჩნდითო, მაგრამ მან არც კი მოგვისმინა, თითქოს არც გვიცნობდა. დღესაც რომ შეეკითხოთ გუბაზს ჩემზე, შეიძლება თქვას, რომ არ იცის ვინ ვარ. ხელები დაიბანა ყველანაირად, როგორც ჩვევია და რა კაციც არის!

ამ „საპროცესოს“ გადახდის შემდეგ, სანამ ბიძინა ივანიშვილი არ მოვიდა ხელისუფლებაში, ციხეში ვიყავით, მერე კი, დაახლოებით, ერთ კვირაში გამოვედით შეწყალებით.

- ჯანმრთელობის პრობლემები ციხეში შეგექმნათ?

-ციხეში არა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ორი ინსულტი გადავიტანე. აბსოლუტურად ყველაფერი წამართვეს და როცა ციხიდან გამოვედი, იმ ტანსაცმლის გარდა, რაც მეცვა, აღარაფერი მებადა. ახლაც მამაჩემის დატოვებულ ძველ ბინაში ვცხოვრობ. ნერვიულობის ფონზე ინსულტი განმივითარდა და მარცხენა ხელი და ფეხი წამერთვა, რასაც დღემდე ვერ ვიყენებ, შემდეგ ამას მოჰყვა შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული გართულებები, განგრენა დამემართა და ფეხიც მომაჭრეს. ახლა ეტლში ვზივარ და ძველი ნაცნობ-მეგობრების წყალობით, პატარა სამუშაოც მაქვს ჩემი სპეციალობით. კომპიუტერთან ვზივარ და ვმუშაობ.

- თქვენთვის, ალბათ, მძიმე გასახსენებელია, მაგრამ იქნებ მაინც გვიამბოთ, როგორ პირობებში გაატარეთ პატიმრობის წლები?

- ქსნის კოლონიაში ვიჯექი და კარგად მახსოვს ის დღე, როცა მიშა გამოვიდა და არჩევნებში დამარცხება აღიარა. ეს დღე იყო ზეიმი იყო მთელ ციხეში. ზედამხედველები და მწამებლები შიშით მეორე დღეს სამსახურში ვეღარ გამოცხადდნენ. პატრული შემოიყვანეს, რომ ციხეში ვიღაცა ყოფილიყო და ერთი კვირის განმავლობაში პატრული გვაკონტროლებდა. სამსახურში ვეღარ მოდიოდნენ მწამებლები, რადგან შეიძლება ცოცხლად შეეჭამათ პატიმრებს.

ასპროცენტიანი სიმართლეა ყველაფერი, რა ამბებიც გლდანის ციხიდან გამოვიდა. მე, მაგალითად, კარანტინში ვიჯექი გლდანის ციხეში, სადაც 10-კაციან საკანში 50 პატიმარი ვიყავით. ტუალეტის ქაღალდიც არ გვქონდა, იატაკზე გვეძინა მორიგეობით თითო საათით, მერე უნდა ავმდგარიყავით და სხვისთვის დაგვეთმო ჩვენი ადგილი იატაკზე. რევმატიზმი, ტუბერკულოზი და ათასი დაავადება იყო გავრცელებული პატიმრებში. წარმოიდგინეთ, „კარმუშკას“ გვიღებდნენ და წვნიანს ისე გვაწვდიდნენ, რომელიც 10 კაცს ერთი ჯამიდან უნდა გვეჭამა. ეს იყო „კონცლაგერი“, ასე ვთქვათ, გლდანის ციხეზე, სანამ კამერაში არ გადაგვიყვანეს. იქ შედარებით ნორმალური სიტუაცია იყო. შედარებით-მეთქი, ვამბობ, თუმცა, ერთ შემთხვევას გავიხსენებ ახლა და თავად განსაჯეთ: ერთხელ, მეოთხე სართულის კამერიდან ვიღაცამ ჩიტებს პურის ნამცეცები გადმოუყარა. გარეთ მდგომმა „ნადზორმა“ ეს რომ დაინახა, ვერ გაარკვია, რომელი სართულიდან გადმოყარეს ნამცეცები, შემოგვიცვივდნენ და პირველიდან დაწყებული, მეხუთე სართულით დამთავრებული, ყველა კამერაში, აბსოლუტურად ყველა პატიმარი უმოწყალოდ გვცემეს. მე პირველ სართულზე ვიყავი. როგორი ცემა-ტყეპა მიდიოდა, იცით? - ხელის შებრუნებას ხომ ვერ გაბედავდი! ამის გამო ნახევარი ცხოვრება იქ უნდა დაგეტოვებინა, თუკი საერთოდ ცოცხალი გადარჩებოდი! გირტყამდნენ, სანამ არ დაიღლებოდნენ, არ არჩევდნენ დიდსა და პატარას, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ახალგაზრდებს არ ინდობდნენ. ყველაზე მაგრად პატარა ბიჭებს ურტყამდნენ წიხლებს, ძირითადად, სასქესო ორგანოებში. ამ ცემა-ტყეპას და წამებას აწყობდნენ კამერის გვერდით, აბანოში და იქიდან ისეთი ამაზრზენი ხმები გამოდიოდა, შენდა უნებურად, უკვე მკვდარი იყავი. მაგას გერჩივნა, შენ ეცემე. როგორი მოსასმენია ყოველდღე კაცის განწირული ბღავილი და ღრიალი. ეს ისეთი დამთრგუნველი იყო... შემდეგ გარდაცვლილთა გვამებს „ადიალაში“ ახვევდნენ, მანქანაში დებდნენ და ისე გაჰქონდათ. ძაღლს და კატას გაცილებით კარგად ექცეოდნენ, ვიდრე ადამიანებს. თუმცა, იშვიათად, მაგრამ მაინც იყვნენ ისეთი ზედამხედველებიც, რომლებსაც რაღაც ადამიანური გააჩნდათ და თუ რამით შეეძლოთ, გეხმარებოდნენ, მაგრამ ეგ რომ ვინმეს გაეგო, იმათ ჩვენზე უარესი დღე მოელოდათ. სხვათა შორის, ლადო ბედუკაძე, ვინც ციხის ამბები გარეთ გამოიტანა, ყველაზე ადამიანურად იქცეოდა, მე, პირადად, მაგ კაცზე ცუდი არაფერი მახსენდება, სიგარეტიც მოუწოდებია, პურიც და რაღაცებიც...

ახლანდელ პატიმრებთანაც მაქვს კავშირი, რომლებიც ციხეში არიან. მირეკავენ ხანდახან და რომ ვეკითხები, რა მდგომარეობაა-მეთქი, მეუბნებიან, ახლა რომ ოფიცერი გამოიყვანო და დედა აგინო, თითის გამნძრევი არავინ არისო, თქვენობით გველაპარაკებიან პატიმრებსო! კარდინალურად არის შეცვლილი სიტუაცია ციხეში. დღეს პატიმარი თავს გრძნობს ადამიანად. მაშინ არ იყავი ადამიანი! ისეთი დრო გამოვიარეთ, გახსენებაც რომ არ გინდა...

- ამ რეჟიმის შემოქმედი საკაშვილი კი დღემდე „აპარტამენტში“ კოტრიალობს და მისი გათავისუფლების მოთხოვნით რადიკალების მიტინგებზე დგანან ევროპარლამენტარები...

- ხშირად ვფიქრობ, ამ ადამიანმა ციხის კამერის სიმყრალე როგორ ვერ უნდა იგრძნოს-მეთქი? არაფერი აკლია, არც მნახველი, არც საჭმელ-სასმელი, არც მოვლა-პატრონობა. სრული კომფორტით არის აღჭურვილი და თან სოციალური ქსელით ქვეყნის საზიანო განკარგულებებს იძლევა. დედამისი დღეში ორჯერ აკითხავს ბულიონით... ჩემი მეუღლე და დედაჩემი კი, ყინვასა და სიცივეში, ქარში, დღეების განმავლობაში რიგში უნდა მდგარიყვნენ, რომ ჩემთან პაემანზე შემოსულიყვნენ, ისიც მარტო ხილის და თაფლის შემოტანის უფლება ჰქონდათ, სხვას ვერაფერს შემომიგზავნიდნენ. და რატომ აკეთებენ ასე? რატომ არ ექცევიან პატიმარ საკაშვილს ისე, როგორც სხვა პატიმრებს? რატომ არ სვამენ მას კამერაში? - მაგაზე ვგიჟდები.

ვიღაც გათხოვილი კაცი, მიხაელ როთი ჩამოვიდა და ჩვენს ტრადიციებს დაუწყო კრიტიკა, ჩვენი ქვეყნის დამნაშავე ყოფილი პრეზიდენტის გათავისუფლებას ითხოვს მთელი ევროპა და დავიჯერო, როთის და ევროპელებს უფრო უყვართ საქართველო, ვიდრე ჩვენ?! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ქართველ ერს არ აღიქვამენ როგორც ნორმალურ ადამიანებს, ჩამორჩენილები ვგონივართ და მათი აზრით, რასაც გვეტყვიან, უნდა გავაკეთოთ. ზოგ-ზოგიერთებს კი სჯერათ, რომ ევროპა და ამერიკა ჩვენი მეგობრები არიან, მაგრამ ჩერჩილის თქმისა არ იყოს, მეგობრები არ არსებობენ პოლიტიკაში, პოლიტიკაში არსებობს მხოლოდ ინტერესები! და თუ სხვა ქვეყანას შეუძლია თავისი ინტერესების დაცვა, შენ რატომ არ უნდა შეგეძლოს შენი ინტერესების დაცვა?! ან რა განსხვავებაა მაშინ ევროკავშირსა და საბჭოთა კავშირს შორის, გარდა იმისა, რომ კომკავშირელის ნიშნები არ გვიკეთია?! საბჭოთა კავშირი გვინიშნავდა „ცეკას“ მდივნებს, ამათ კი უნდათ, რომ დაგვინიშნონ თავიანთი ხელისუფალი და კატეგორიულად გვთხოვენ, ვინც მათ უნდათ, ის „ავირჩიოთ“!

- მგონი, ზედმეტი ჰუმანურობა გამოიჩინა თავის დროზე მმართველმა გუნდმა დამნაშავეების მიმართ, რის შედეგებსაც დღემდე

ვიმკით.

- თავის დროზე, ეს იყო, ალბათ, ის შეცდომა, რის გამოც „ნაციონალური მოძრაობა“ ნომერ პირველ ოპოზიციურ ძალად დარჩა ქვეყანაში და კოლექტიური ნაცმოძრაობის სახე მიიღო. მესმის ხალხის სამართლიანი წყრომა, რომ ეს დასავლეთიდან შემოგდებული კოჰაბიტაცია იყო სრულიად ზედმეტი. თუმცა, ისიც გასაგებია, რამხელა ზეწოლის ქვეშ იყო მაშინ ხელისუფლება. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილმა, უბრალოდ, ყველაფერი არ იცოდა ამ ხალხზე, ბოლომდე არ იცოდა, ვინ იყვნენ ესენი, რა ჯიშის ხალხი იყო, არ მოელოდა... კიდევ იმის იმედი ჰქონდა, რომ რაღაც ადამიანურს დაინახავდა მათში, მაგრამ მოტყუვდა.

ჯერ კიდევ 30 წლის წინ, 1994 წელს, მეგობარს გავყევი ტუბდისპანსერში. კლინიკის ეზოში გავიარ-გამოვიარე და იმ პერიოდისთვის თვალშისაცემად კეთილმოწყობილი ბავშვთა კლინიკაც აღმოვაჩინე. მაშინ, როცა საქართველო შიმშილისაგან სულს ღაფავდა, გამიხარდა, რომ ვიღაც ტუბერკულოზიან პატარებზე ზრუნავდა და უმაღლესი დონის კომფორტული კლინიკა აუშენა მათ. ბუნებრივია, დავინტერესდი და ვიკითხე, ვინ იყო ეს ადამიანი, ვინც პატარებს ასეთი საჩუქარი გაუკეთა. მითხრეს, რომ ეს იყო რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, ვინმე ივანიშვილი. მაშინ პირველად გავიგე ამ ადამიანის გვარი და ჩამრჩა გონებაში. როგორ ფიქრობთ, იმ დროს, 1994 წელს, ეს უდიდესი ქველმოქმედი სიკეთეს იმის გამო აკეთებდა, რომ ოდესმე ხელისუფლებაში მოსულიყო? -არა მგონია! ის ამას აკეთებდა თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე და კიდევ ვინ იცის, რამდენი სიკეთე აქვს მას გაკეთებული, რაც გვინახავს და რაც - არა! ვიცნობთ იმ ადამიანებს, ვისთვისაც სიცოცხლე უჩუქებია, მაგრამ სამწუხაროდ, შემდეგ ისინი მტრად მოკიდებიან. საერთოდ, ამ კაცმა რა გააკეთა ჩვენი ქვეყნისთვის, ვიცით კი? გაცნობიერებული გვაქვს? ქველმოქმედება ერთია და, რამდენ უბედურებას გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა!

- ბატონო ირაკლი, შეცდომაში შეყვანილი გულანთებული ახალგაზრდები სიტუაციას, რაც ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ვითარდება, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს ადარებენ და მიაჩნიათ, რომ ისინიც ისეთივე იდეალებისთვის იბრძვიან, რისთვისაც მაშინ ვიბრძოდით...

- ეგ არის ნონსენსი, როგორ შეიძლება შედარება! ამათ უნდათ, რომ ჩვენი მთავრობა დანიშნოს ამერიკის ელჩმა, ჩვენ კი მაშინ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის ვიბრძოდით. არასდროს მოხდება ისე, რომ არჩეული მთავრობა ყველას მოსწონდეს, - კი ბატონო, პროტესტი გამოთქვი, რაც გინდა თქვი, არავინ გიშლის, მაგრამ ხომ არის რაღაც ნორმა? 9 აპრილიდან დაწყებული, წლების განმავლობაში მიტინგი არ გამომიტოვებია, მაგრამ ჩემი თაობის ახალგაზრდებს ფოთოლი არ მოგვიწყვეტია ხიდან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იქ არავინ იყო და ვერავინ დაინახა, ექვთიმეს ძეგლს რომ მიაფსეს? „საქართველო, საქართველოს“ რომ გაჰყვირიან და ირგვლივ ყველაფერს ცეცხლს უკიდებენ, ხატებს შეურაცხყოფენ, ეს არის ქართველობა?! რადიკალებს უნდათ რევოლუციის მოხდენა, ოღონდ ისე, რომ თავად თბილი სახლებიდან არ გამოვიდნენ და ახალგაზრდები შეაკლან ამ ყველაფერს, შემდეგ კი დასხდნენ და შედეგები მოიმკან. ოპოზიცია კი არა, ესენი არიან ქვეყნის მომავლის მტრები, ამათზე უფრო ბინძური ხალხი არ არსებობს. თავის დროზე ბიძინა ივანიშვილსაც შეეძლო გადატრიალების გზით ჩამოეშორებინა სააკაშვილის რეჟიმი, მაგრამ არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლებაში და ყველაფერი კონსტიტუციის ჩარჩოებიდან გამომდინარე გააკეთა. ამათ კი არაფერი აინტერესებთ, დღეში 5-ჯერ არღვევს კონსტიტუციას მათი საყვარელი პრეზიდენტი. არც არის გასაკვირი. ზურაბიშვილიც თავისი წინაპრების შთამომავალია, რომლებმაც თავის დროზე, საქართველო რუსეთს მიუგდეს და რომ არა ექვთიმე თაყაიშვილი, ისიც არ შეგვრჩებოდა, რაც დღემდე მოგვიტანია.

ჩემ ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ამ რადიკალების და მათ ემხრობიან. მათ შორის ბევრი კარგი ადამიანიც არის. ხშირად მიკითხავს მათთვის, ამიხსენით, ერთი, რა გააკეთა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ რუსეთის სასარგებლოდ, თუნდაც ერთი მაგალითი მომიყვანეთ, იქნებ, მეც დავიჯერო, რომ მართლა რუსეთისკენ მიგვაქანებენ-მეთქი, იქნებ მართლები ხართ, მეც თქვენს ჭკუაზე გადმოვდივარ და ხმას არ ამოვიღებ-მეთქი! - მაგრამ აქაც, ისევე, როგორც ცნობილი კანონის შემთხვევაში, მათ არგუმენტი არა აქვთ და მხოლოდ „ტანი უგრძნობთ“!

ნონა ქარქაშაძე

სახელმწიფო ერთხელ რომ ლაფში ჩაეფლობა, იმ გზაზე აღარ გაივლის

← 3 გვ.



„რუსთავი-2-ის“ დაცვის ეგიდით რევოლუციის მოსაწყობად.

„ოცნება“! აი, ასეთებით რომ არის გაძეძგილი საჯარო უწყებები, ამას ვიძახი წლებია და არ მისმენთ, ხან კადრების ნაკლებობა მოიდეთ მიზეზად და ხან არაშურისმაძიებლური პოლიტიკა და ინებეთ შედეგიც!

ტიკლი-მიკლი ხელოვანები და ფუტურო ტელეწამყვანები ყველა დროის ყველა ხელისუფლების მასოვკაა — ნაპატივებები ძველს მისტირიან, პერსპექტიულები ახალს უწვებიან, ამიტომ პიროვნულად სახსენებლად არც ღირან, ტინგიცობის ტვირთი ადევთ და იტინგიცონ, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს ცალკეული თანამშრომლები რომ ხელისუფლებას გაემიჯნებიან, კი უნდა დაფიქრდე და კარგად დაიხსომო ყველა მათგანი. მათი ერთობლივი განცხადება წავიკითხე და მე შემრცხვა მათ ნაცვლად: „..ვაცნობიერებთ რა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და დასავლელი პარტნიორების წვლილს საქართველოს თავდაცვისა და შეკავების შესაძლებლობების განვითარების პროცესში, ერთგული ვრჩებით საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გაწერილი ვალდებულებისა.

ვემსახურებით საქართველოს!“

რა სასაცილოა, კობახიძის დაწერილს კობახიძეს უხსნიან და ასწავლიან...

ესენი გონებაჩლუნგი კუნთმაგრები არიან, მხოლოდ გონებჩლუნგები თუ მხოლოდ კუნთმაგრები? ვეჭვობ, ტიპიური მსტოვრები არიან — მეფე ერეკლეს მეზარბაზნეები არ ჰყავსო... (როგორც მითხრეს, ერთია გენშტაბიდან, დანარჩენები ადმინისტრაციული ნაწილიდან არიან).

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლებიც რომ აბოჟირებულან?

ძალიან კარგი, ამდენივე პატრიოტი დასაქმდება...

ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, რომ, როდესაც სახელმწიფო სექტორში დასაქმებული 800-მდე მოხელე თავს იმზეურებს, პატრონების წინააღმდეგ მიმართული ერთგვარად გონივრული ხრიკი ხომ არ არის მათგან, აღარ მინდა ჩანერგილობა, დავიღალეო და იმ ტვირთს იცილებს, რომელიც აწუხებდა? — რა ვიცი, ოპტიმისტი ვარ ბუნებით... ქართველთმოყვარე ქართველი ვარ და ვცდილობ, კარგი კუთხით დავინახო ცუდიც, თუკი მოსაბღაუჭებელი რამე მექნება... ქართველის, ქართველობისა და საქართველოს აუგად მოხსენიება საშინლად არ მსიამოვნებს...

ერთის მხრივ, მართლა კარგია ამგვარ მნიშვნელოვან უწყებებში დაწყებული თვითლუსტრაცია. ვისურვებდი, ასევე მოხდეს სხვა უწყებებშიც, ფურუნკული ყველგან უნდა გასკდეს, დაწყებული შსს-ითა და იუსტიციის სამინისტროთი, დამთავრებული ბაგა-ბაღის პედაგოგებით. მეორეს მხრივ კი ძალიან გასაბრაზებლია — ეს იმის შედეგია, რომ „ოცნებამ“ არ მოუსმინა ხალხს, მურვან ყრუობა დაიმართა და უმადურობის პიკი აჩვენა — საკუთარი გულანთებული მხარდამჭერები გვერდზე გასწია და დაჩაგრა...

მას შემდეგ, რაც ცხონებული რეზო თაბუკაშვილის ფრაზა გავიგე — „აგრესიული პროვინციალიზმის დაბადება“, სულ მაინტერესებდა, სრულყოფილად რა სახის გამოხატულება იყო სულიერი და სიტყვათაწყობის ნაზავით. ნაწილ-ნაწილ კი გადავაწყდი ყველგან, დაწყებული ქუჩიდან, დამთავრებული სამსახურით, მაგრამ ასე სრულყოფილად ახლაღა დავინახე, როდესაც რუსთაველის გამზირზე, გამაყრუებელი ხმაურის ფონზე, მრგვალი გოგო აპროტესტებდა, რომ „იქინე“ (პარლამენტში) დაუმსახურებლად „ჯდია“ ვიღაც, მგონი, კობახიძე და თბილისი ევროპაა. კი დამაბნია, მაგრამ გამამხიარულა, მეგონა, ჩელიაბინსკში ვიყავი და თურმე ევროპის თბილისში ვყოფილვარ...

კარგად ვხედავთ, რომ ყველაფერი, რაც ამ წლების განმავლობაში ხდებოდა და მცირე ხნით კიდევ გაგრძელდება, არანაირად არ არის ქვეყნის შიდა პროცესები, რაც გასაკვირი არ არის. საქართველომ, რომელიც ამდენი ხანია, კოლონიად განიხილებოდა სამშობლოს მოღალატე მმართველების ხელში, ყველას გასაკვირად, უცბად „არა“-ს თქმა ისწავლა, თავის დაფასება დაიწყო, ღირსების გრძნობა გაუმძაფრდა და ფენიქსი ჩაუსახლდა ქართულ სულში — ამას აიტანენ კოლონიზატორები? სწორედ ამიტომ ამოქმედდა მთელო კოლონიზატორული კარტელი საქართველოს წინააღმდეგ. მათთვის უპროგნოზო აღმოჩნდა „ქართული ოცნება“, რომელიც უცნაურ სვლებს აკეთებს და ერთი ნაბიჯით გადაუსწრო მთელ კრებისით დასავლეთს. ამდენად, ბოლომდე დახარჯვასაც ვერ ბედავენ, წარმოდგენაში ხატავენ, რა შეიძლება გააკეთოს „ოცნებამ“ (საბოლოო) წერტილად და უფრთხიან იმ წერტილის დასმას.

ყველაზე აუტანელი მათთვის ის არის, რომ ვერ გაუგიათ, რა მოუვიდა საქართველოს, ამ ერთ მუჭა ქვეყანას, რისი იმედი აქვს, ვისით დიდგულობს, რა და ვინ არის მისი უჩინარი მფარველი, რანაირად აპირებს რეალურ დამოუკიდებლობას, რა „ღირსება“ აუტყდა...

სერბებს აქვთ ასეთი გამონათქვამი: როდესაც ომი იწყება, პოლიტიკოსები ტყვიებს და იარაღს იძლევიან, ბიზნესმენები — პურს და საკვებს, უბრალო ხალხი კი საკუთარ შვილებს. როდესაც ომი მთავრდება, პოლიტიკოსები ერთმანეთს ხელს ართმევენ, ბიზნესმენები პროდუქტებს აძვირებენ, ხოლო ხალხი შვილებს ასაფლავებსო...

მშობლებო, შვილებს გაუფრთხილდით, არაფერი ესაქმებათ მოზარდებს სხვის ომში!..

შვილებო, თავს გაუფრთხილდით, არაფერი გესაქმებათ სხვის ომში!..

არის ასეთი ტერმინი „სასარგებლო იდიოტი“, **seful idiot** - ინგლისურად, **Полезный идиот** — რუსულად, რომელთაც, ძირითადად, დაცინვით მოიხსენიებენ მათივე პატრონები, მაგრამ „სასარგებლო იდიოტებმა“ არ იციან, რომ იდიოტებად თვლიან...

პატარა საქართველოსთვის 5 000 იდიოტი ბევრია, 10 000 კი — ძალიან ბევრი...

ზურა ოშხერელი

ჩვენს ფასეულობებზე ორიენტაცია, ქვეყნის იმიჯს წინ წასწევს!



გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე

— ბატონო სოსო, ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნა 2028 წლამდე შეჩერდა. ზოგადად, ნებისმიერი გაერთიანების წევრობა, რამდენად გულისხმობს ეკონომიკური თავისუფლების დათმობას?

— ზოგადად, განვითარებული ქვეყნები ისინი არიან, რომლებსაც დანარჩენ სამყაროსთან მყარი, სტაბილური ეკონომიკური ურთიერთკავშირები აქვთ. ბუნებრივია, ურთიერთკავშირი ორმხრივ ვალდებულებებს გულისხმობს. ანუ, როცა კონკრეტული საქონელი ერთი მიმართულებით მოძრაობს, ასევე, საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს თანხა, ან კიდევ იმ ღირებულების საქონელი, რომელმაც ეს საპირისპირო ნაკადი უნდა დააბალანსოს. ეს აბსოლუტურად მიღებული პროცესია, ცივილიზაციის განვითარება სწორედ ამას ეფუძნება. მაგრამ თავისუფლება სად არის ამ დროს, რა ადგილს იკავებს? — თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა, რათა, იმ წესების, ნორმების, ვალდებულებების რეალიზაცია მოვახდინოთ, რითაც ცივილიზებულ სამყაროში თავის დამკვიდრებას შევძლებთ.

წარმოიდგინეთ, ვცხოვრობთ ბინაში, რომელიც ჩვენი საკუთრებაა, მაგრამ ქცევის ნორმები, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მეზობლებს, ვთქვათ, კედლების დანგრევა, ღამის საათებში ხმაური, ცივილიზებული საზოგადოების ცხოვრების ნორმებში არ ჯდება. ჩვენ თანაცხოვრების საერთო წესებს უნდა დავემორჩილოთ. ასევე, ნებისმიერი კავშირის წევრობა გარკვეულ ვალდებულებებს და თავისუფლების ისეთ შეზღუდვას გულისხმობს, რაც ქცევის საერთო წესებს ემორჩილება. ჩვენ თავი ცივილიზებულ, მოწინავე ერად თუ მიგვაჩნია, ეს პროცესები უნდა გავითვალისწინოთ.

საქართველოს ეკონომიკური ურთიერთკავშირი მსოფლიოს 140-ზე მეტ სახელმწიფოსთან აქვს, რაც თამაშის გარკვეული წესების დაცვას გულისხმობს. ვერცერთი ქვეყანა, ბიზნესჯგუფი წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ ამ წესებს უგულებელყოფს. მსოფლიო შრომის გლობალური გადანაწილების პროცესში რაც უფრო ღრმად შევდივართ, მით მეტად ვხდებით იმ წესების გათვალისწინებაზე დამოკიდებული, რაც საერთაშორისო ნორმებით არის განსაზღვრული. ადამიანმა საკუთარ ნაკვეთში შეიძლება ყველი ფერმის რძით დაამზადოს და თვითონ მოიხმაროს, მაგრამ თუ ევროკავშირის წევრი გახდები, თამაშის იმ წესებით უნდა იხელმძღვანელო, რაც იქაა დამკვიდრებული. ანუ, თუ ევროკავშირში გაწევრიანებას, სრულყოფილი სტატუსის მიღებას ვაპირებთ, გვინდა თუ არა, იძულებული ვიქნებით, თამაშის იქაურ წესებს დავემორჩილოთ. აქვე დგება საკითხი გაღებული ხარჯების — „მსხვერპლის" და მიღებული სარგებლის თანაფარდობაზე. ჩვენ ნებისმიერ ქმედებაში პრაგმატულები უნდა ვიყოთ. ანუ, თვითმიზანი რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა კი არ უნდა იყოს, არამედ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული — უსაფრთხოების, ბიზნესწრეებისა და მოსახლეობის ინტერესების დაცვა ისე, რომ ამან საშუალო და გრძელვადიან პერიოდში სახელმწიფოს ინტერესები არ დააზარალოს.

— დღეს რომ ევროკავშირის წევრი გავხდეთ, ეს რამდენად შეგვიშლის ხელს სხვა ქვეყნებთან თავისუფალ ვაჭრობაში?

— ეს წმინდა ტექნიკური საკითხებია, რაც ადვილად მოგვარებადია. ეს იმ პრობლემას არ წარმოადგენს, რის გამოც შეიძლება ადგილობრივი ბიზნესი, რიგითი მოქალაქე დავაშინოთ. რაც უფრო მეტ ქვეყანასთან გვექნება ურთიერთკავშირი, მით უფრო განვითარდება ეკონომიკა, შეიქმნება მეტი სამუშაო ადგილები, ბონუსები გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ხარჯები, რაც შეიძლება თამაშის წესებში ახალი რეგლამენტის შემოტანით მოხდეს. მთელი მსოფლიო აშშ-სა და ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკურ დაპირისპირებას აკვირდება. ახალი ადმინისტრაციის ამოცანაა, ბაზარზე ლიდერი გახდეს და ჩინეთის მომძლავრებას წერტილი დაუსვას. ხშირად ისმის კრიტიკა, რატომ გვაქვს ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობები. მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშებით, ერთი მხრივ, საქართველო-ჩინეთის და მეორე მხრივ, აშშ-ჩინეთის სავაჭრო ბრუნვას თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოს მაჩვენებელი ამერიკისას ოთხჯერ ჩამორჩება. იგივეა ევროკავშირსა და ჩინეთთან მიმართებით. ამიტომ ჩვენ ვერ ვიქნებით თითით საჩვენებელი ქვეყანა, რომელიც ერთი მხრივ, იგნორირებას უკეთებს აშშ-ის, ევროკავშირის ინტერესებს და მეორე მხრივ, ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობებში იმყოფება ჩინეთთან. ამერიკას და ევროპას ჩინეთთან საკმაოდ წარმატებული, მასშტაბური ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ. რაც უფრო გადაჯაჭვული იქნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური ინტერესები, საერთო ენას მით უფრო ადვილად გამონახავენ, ხოლო დაპირისპირება, სამხედრო კონფლიქტები უკანა პლანზე გადაიწევს.

— გაისმის მოსაზრება, რომ დღევანდელი რეგულაციების თანახმად, ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანება ეკონომიკის ჩამოშლას გამოიწვევს. რა საფუძველი გააჩნია ამ მოსაზრებას?

— ეს ჰიპოტეტური მოსაზრებაა. თუ გვინდა, მსოფლიო გლობალური ცივილიზაციის ავტობანზე ვიმოძრაოთ, შემდეგი მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ — სამამულო პროდუქციის წარმოება, ხარისხი, უსაფრთხოება და სხვა პარამეტრები გავაუმჯობესოთ, რითაც მოწინავე ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, რაც საშუალებას მოგვცემს, მეტი სარგებელი ვნახოთ. ავიღოთ ღვინის ექსპორტი. ვტრაბახობთ, რომ რვაათასწლოვანი ღვინის წარმოების კულტურა გაგვაჩნია, საქართველო ღვინის სამშობლოა, მაგრამ ჩვენი ექსპორტის მოცულობა 250-300 მილიონი დოლარის ფარგლებშია. იგივე ტექნოლოგიით და მასშტაბებით, ყველა მიკროზონის ათვისება და ექსპორტზე გატანა რომ მოვახდინოთ, სარგებელი 900 მილიონიდან მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. მეტი ყურადღება მეცნიერებას უნდა მივაქციოთ. არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენებითაც ერთი კილოგრამი ყურძნისგან შეიძლება 6-7-ჯერ მეტი ღირებულების პროდუქციის მიღება, დაწყებული ეთერზეთებიდან, პარფიუმერიით დასრულებული. ამ მიმართულებით თუ წავალთ, ვენახების ფართობების ისეთი გაზრდა აღარ დაგვჭირდება, რომელიც მხოლოდ ტრადიციული წესით ღვინის წარმოებაზე იქნება ორიენტირებული. ანუ, ტრადიციულ დარგებში მეცნიერების ღრმა ინტერვენცია უნდა მოვახდინოთ, რითაც პროდუქტის დამატებით ღირებულებას გავზრდით. ასეთ პირობებში ქართული პროდუქციისადმი ინტერესს თავად ევროკავშირი და აღმოსავლეთის ქვეყნები გამოიჩენენ. ამიტომ მეცნიერებას თუ დიდ ყურადღებას დავუთმობთ, ეს მეტ დადებით შედეგს მოგვიტანს. ჩვენი თვითმიზანი რომელიმე სტრუქტურაში გაერთანება კი არ უნდა იყოს, არამედ იმ ფასეულობებზე, ღირებულებებზე ორიენტაცია, რაც ქვეყნის იმიჯს, მის უსაფრთხოებას და მატერიალურ კეთილდღეობას წინ წასწევს.

— პრემიერმა განაცხადა, რომ ევროპულ საბიუჯეტო ტრანშებზე უარს ვამბობთ. ეს რამდენად სახიფათოა?

— ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ საიტზე ჩვენს საბიუჯეტო შემოსავლებში გრანტების წილი საკმაოდ მოკრძალებულია, ის 110-130 მილიონ დოლარს არ აღემატება. მაშინ, როცა საქართველოს ბიუჯეტის შემოსავალი 25 მილიარდი ლარია და ოთხი წლის მერე, შესაძლოა, 40 მილიარდი გახდეს. ბევრი უცხოური ფინანსური ნაკადი ქვეყანაში ბიუჯეტის გვერდის ავლით შემოდის. უახლოეს წლებში ჩვენი ეკონომიკის იმ დონეზე განვითარება

უნდა შევძლოთ, რომ ევროკავშირი აქეთ შეგვეხვეწოს, ჩვენი ღირსეული წევრი გახდითო. საქართველოს ბიზნესსექტორს ბევრი რამ აქვს სასწავლი, გამოსასწორებელი, რათა თანამედროვე მოთხოვნების დონე დავაკმაყოფილოთ, კონკურენტუნარიანი ვიყოთ ჯერ შიდა ბაზარზე, მერე საერთაშორისო გლობალურ ბაზრებზე. გავიხსენოთ 90-იანი წლები, როცა ქართული შიდა ბაზარი იმპორტირებულმა პროდუქციამ წალეკა. ლუდის ბაზარი მთლიანად უცხოეთიდან შემოსული პროდუქციით იყო ოკუპირებული. მერე თოფაძემ მოახერხა ადგილობრივი ლუდის ჩამოსხმა. დღეს ადგილობრივი ლუდი უცხოურს სერიოზულ კონკურენციას უწევს. ანუ მეტი მუშაობაა საჭირო, რათა იმპორტჩანაცვლება მოვახერხოთ და ჩვენი წარმოების მასშტაბები, ნომენკლატურა გავაფართოვოთ.

გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს ექსპორტში გასულ წელთან შედარებით, დაახლოებით, 40%-იანი ღირებულებითი ზრდა გვაქვს. ანუ, არამარტო სასაქონლო ნომენკლატურას, არამედ ექსპორტის მასშტაბებსაც ვზრდით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ განვითარების კუთხით საკმაოდ სწორი ვექტორი გვაქვს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესების კუთხით. მთავარი ამოცანაა, იმპორტის ადგილობრივი პროდუქციით მაქსიმალური ჩანაცვლება შევძლოთ. ამავდროულად, ვიზრუნოთ, რომ გლობალურ ბაზრებზე ჩვენი პროდუქციის დასამკვიდრებლად პლაცდარმი გავაფართოვოთ. ამას სჭირდება განათლების, მეცნიერების დარგებში მეტი ინვესტირება, რათა საქართველოს სხვადასხვა დარგის წარმოებაში მაქსიმალურად მოკლე ვადებში იქნას გამოყენებული, დამკვიდრებული და ათვისებული მსოფლიოში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები.

— ბოლო წლებია ეკონომიკა სწრაფად ვითარდება. მომავალი წლისთვის რა მოლოდინები გაქვთ?

— წელს იანვარ-ოქტომბრის თვეების მიხედვით, 10%-იანი ეკონომიკური ზრდა გვქონდა. მხოლოდ ოქტომბერში ეკონომიკურმა ზრდამ 11%-ს მიაღწია. ეს ტემპი, რაც დაფიქსირდა, გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპს იმავე პერიოდში, ორ-ნახევარჯერ აღემატება. ეს პატარა მიღწევა როდია. ჩვენი ეკონომიკური ჩამორჩენა, მოწინავე ქვეყნების მიმართ სწრაფად მცირდება. გარდა ამისა, ბოლო დრომდე დაბალი ინფლაცია შევინარჩუნეთ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანობა იზრდება. ბოლო სამი წელია, საქართველოს ინფლაციის უფრო დაბალი ტემპი აქვს, წინა თვესთან შედარებით, ვიდრე აშშ-ს. თან, ყოველი მესამე თვე 2021 წლის მერე დეფილაციური იყო, ანუ ფასები, წინა თვესთან შედარებით, კი არ იზრდებოდა, კლებულობდა. აშშ-ში დაავიწყდათ, როდის იყო ბოლოს დეფილაცია წინა თვესთან შედარებით. იგივე ითქმის შრომის ბაზარზე, სადაც მოსახლეობის საერთო რაოდენობა შემცირებულია, მაგრამ ამის ფონზე გაიზარდა დასაქმებულების აბსოლუტური რიცხვი, მათ შორის, დაქირავებულების. ასე რომ, ყველა პარამეტრით წინსვლა გვაქვს. ეკონომიკის განვითარების პერსპექტივას პოზიტიურად უნდა შევხედოთ.

— რამდენიმე დღის წინ ვალუტის კურსი საგრძნობლად გაუფასურდა. რამ გამოიწვია ეს?

— სავალუტო კურსზე ორი ფაქტორი მოქმედებს — წმინდა ეკონომიკური და ფსიქოლოგიური. ეკონომიკის მხრივ პრობლემა არ არსებობს, რადგან ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ფაქტორს, რაზეც საზოგადოების განწყობა თუ ბიზნესსტრუქტურების აღქმები მყისიერად მოქმედებს, მნიშვნელოვან ამპლიტუდას იწვევს. ვალუტის კურსის გაუფასურება ფსიქოლოგიური ფაქტორებით არის გამოწვეული. ეკონომიკის საკმაოდ მდგრადი განვითარების, ასევე, პოლიტიკური ვნებათაღელვის ჩაცხრობის ფონზე, ლარი სტაბილურ, წონასწორულ კურსს დაუბრუნდება, ხოლო ეროვნული ბანკის რეზერვების შევსება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება.

თამარ შველიძე

მავანთათვის ამაზრზენი სიტყვა – ღირსება

მექოთნე რომ ხარ, ქოთანს საიდანაც გინდა, იქიდან მოაბამ ყურს, მაგრამ მექოთნე კი არა, „წვინტლიანი კოკა“ რომ ხარ, ხელები უნდა გააჩერო!

ის, რაც რუსთაველის გამზირზე მოხდა, ხდება და კონკრეტულ დრომდე მოხდება, წინსწრებით ვიცოდით. ზაფხულიდან მოყოლებული, გაბმით გვესმოდა, რომ ე. წ. რადიკალური ოპოზიცია 26 ოქტომბრისთვის კი არა, არამედ 26 ოქტომბრის შემდგომ დღეებში არეულობისთვის ემზადებოდნენ და ახლა რა არის მოულოდნელი? ან რა არის ახალი და უცხო? „ცეკვა-მუსიკის“ დამკვეთებიც იგივენი არიან და შემსრულებლებიც...

ისეთი აბრაკადაბრაა, საიდან დავიწყო სათქმელი?

ალბათ, აი, ასე სჯობს: ისინი, ვინც უსამშობლო, უცხო ქვეყნების დაქირავებული ღია ჯაშუშების დაძახებაზე საკუთარი ქვეყნის დედაქალაქის დასანგრევად გარეთ გამოვლენ, არა მხოლოდ წყლით გაწუწვის, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით არიან გასაწუწი და აი, რატომ: როდესაც ე. წ. რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები მავთულზე გაბმული ძაღლებივით ერთი მიმართულებით მიდიოდნენ და ლამის ბოლო კარისკაცამდე ეხვეწებოდნენ ე .წ. კრებსით დასავლეთს, არ მისცეთ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაო, ხმა არ ამოუღიათ;

როდესაც „კოჭლი იხვი“ ზურაბიშვილი იგივეს იხვეწებოდა, ხმა არ ამოუღიათ;

როდესაც გვარამია და ბოკუჩავა ერთად და მონაცვლეობით დარბოდნენ ბრიუსელში, შეაჩერეთ საქართველოსთან საუბრები და უვიზო მიმოსვლაო, ხმა არ ამოუღიათ, პირიქით, მათ ფეხებთან იყვნენ ჩაცუცქული, ვინც, მათი სიტყვებით, „საქართველოს ევროპულ არჩევანს“ წინ გადაუდგა და ახლა რაო?

შეუსრულა ჯოზეფ ბორელმა ქართული წარმოშობის უსამშობლოებს სურვილი და თქვა, რომ გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია მანამ, სანამ საქართველოს მთავრობა არ დაუბრუნდება ევროპულ გზას, ხოლო იმისთვის, რომ ამ გზას დაუბრუნდეს, ბევრი რამე უნდა შეიცვალოს. „ბევრი რამე“ რაც არის, გავიგეთ, ე. წ. ჯაშუშებისა და „პედერასტების კანონი“ უნდა გაიწვიოს საქართველოს პარლამენტმა და ჩაროზად მიხეილ სააკაშვილი გაათავისუფლოს რუსეთისთვის სანქციების დაწესების ფონზე, თვითონ კი 100 მლნ ევროს თავიანთ ჯაშუშებს გაუნაწილებენ საჯაშუშო საქმიანობის გასაგრძელებლად.

ხომ ასრულდა მათი „დამრიგებლების“ სურვილი, ახლა რაღა უნდათ, რა არ მოეწონათ, ჯოზეფ ბორელის, ანუ კრებსითი „დაუძინებელი მეგობრების“ შანტაჟს შედეგი რომ არ მოჰყვა, ეწყინათ?

ჩვენი ახლობელი ოჯახი მტრად მოკიდებულმა მათმა ყოფილმა ახლობელმა ამოჟუჟა, — ცოლ-ქმარი და უფროსი ვაჟი, პატარა და-ძმას არ შეეხო. გაიზარდნენ ობლები, გოგო გათხოვდა. ბიჭიც გზას ეწია, მამის დაწყებული სარფიანი საქმე გააგრძელა. ერთ დღეს შუამავალი მივიდა, „ის“ ამდენ თანხას ითხოვს (თანხა დაუსახელა), წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ ყველაფერს გადაგიწვავს, მერე კი მოგკლავსო, — რაღაც ვადა მისცა მოსაფიქრებლად, ორი-სამი დღეც არ იყო, მგონი. ჩვენი ახლობლები, დედაჩემის მეთაურობით, ეუბნებოდნენ, მიეციო, მაგრამ ის ყოყმანობდა, მე მხარს ვუბამდი, ვამხნევებდი, არ მისცე-მეთქი და ვუხსნიდი, რატომაც — ერთხელ რომ გაუვა, მუდმივად დაგაშანტაჟებს და მთელი ცხოვრება გამოგძალავს, დაე, სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს-მეთქი, — დამიჯერა და უარი დააბარა. იმ ტიპზე ლეგენდები დადიოდა, ამ ბიჭმა კი ერთი, მაგრამ მტკიცე უარით თავისი ოჯახის დამმარხავი გააუვნებელჰყო. დღეს ეს ბიჭი ბედნიერად ცხოვრობს ოჯახთან ერთად, „ის“ კი გარდაცვლილია.

რას მოვაყოლე ეს ამბავი და გერმანიის ელჩის თამადობით, ყველა არამკითხე-მოამბე უცხოელისა და მათი მხრიდან საქართველოს დაშანტაჟების მცდელობას.

ე. წ. აგენტების კანონი რატომ მოიგდეს წინ?

„ალა ლუშულ კანონს“!

ხელისუფლება ყველაფერს ვერ იტყვის, ზოგ რამეს შენით უნდა მიხვდე, ზოგს სხვა გეტყვის და დასკვნა უნდა გამოიტანო, ხოლო თუ ამდენად არ შეგიძლია აზროვნება და ვის დაუჯერო, „არიოლ-რეშკათი“ საზღვრავ, კი, ბატონო, იდექი და იყვირე „ალა ლუშულ კანონს!“

USAID-იდან, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციიდან ფული საქართველოში ირიცხებოდა. ჩვენთან რას ხმარდებოდა, ამჯერად ამაზე საუბარი გვერდზე გადავდოთ და, ის ვიკითხოთ, კიდევ საით მიემართებოდა ის ფული?

დიპლომატიურ ენაზე სამჯერ გაგვაფრთხილეს ჩვენი სამეზობლოდან თურქეთმა, აზერბაიჯანმა და კასპიის ზღვის გადაღმიდან ირანმა, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ფინანსდებოდნენ იქაური სოროსისტები და მათი ქვეყნებისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ. როდესაც სახელმწიფო საქართველოს მხრიდან შედეგი ვერ დაინახეს, უკვე ღია ტექსტით გამოაქვეყნეს, რომ ამ ტერიტორიიდან, საქართველოდან სირიაში ფინანსდებოდა ტერორისტული ორგანიზაციები: „ალ-ქაიდა“, „ჯეფხატ ალ-ნუსრა“, „ნუსრა“ და „დაიში“, რომლებიც საქართველოში აკრძალულია. ჩამოვიდა აზერბაიჯანის უშიშროების საბჭოს მდივანი საქართველოში და შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს შეხვდა; ამის შემდეგ ჩვენი პრემიერი ჩადის აზერბაიჯანში, ხვდება ალიევს და შემდეგ შემოდის ეს კანონი. საქართველომ უკან რომ დაიხიოს, ნიშნავს, რომ საქართველო აკეთებს განცხადებას „ვარ სამეზობლოს მტერი ქვეყანა!“ ანუ, მე ვერ გავუძელი და ჩემი ტერიტორიიდან ელოდეთ საფრთხესო!

პაატა აბულაძე: „როცა იცი, რომ შენი მეზობელი აკეთებს დინამიტს, მიუკაკუნებ და ეტყვი, ნუ აკეთებ დინამიტს, ეგ რომ აფეთქდეს, ჩემი ოჯახიც დაზიანდება. ის მეზობელი გეუბნება, იცი, რა, ჩემი სახლია, რასაც მინდა, იმას გავაკეთებო. ურეკავ პატრულს და ხედავ, რომ, ამის აღკვეთის ნაცვლად, პატრულს იქით მიაქვს ბენზინი იმ სახლში. თქვენ რას დაელოდებით, როდის ააფეთქებს და ჩამოანგრევს იქაურობას? ამიტომ, უკან დასახევი გზა არ არსებობს ფიზიკურად, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ხელისუფლებაში, იმიტომ, რომ ეს უკვე საფრთხე ხდება ჩვენს სამეზობლოში.

კონგრესმენი ბრაიან მასტი ენტონი ბლინკენს რომ დასძახოდა, ვიდრე **USAID** და ყველა, 144 ამერიკული სააგენტო, რომლებიც ცნობილი არიან, როგორც „განმახორციელებელი პარტნიორები“ და რომლებიც რატომღაც აფინანსებენ „თალიბანს“, არ შეგვატყობინებენ თითოეული გრანტის, ქვეგრანტის და განაცხადის შესახებ, ერთი დოლარსაც არ მოგცემთო, არაფრისმთქმელია?

თურმე, ეწყინათ საქართველოსგან, რომ ურბილესი, მაგრამ გამჭვირვალობის კანონი მიიღეს და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, „რუსული კანონი“ დაარქვეს — უმეცარ მასაზე გათვლილი სიტყვებით მანიპულირებენ – „რუსული“, „რუსეთი“, „გარუსება“, „რუსებო“...

„პედერასტების კანონი“ უმარტივესი გასაგებია — რაგინდ თავმომწონე იყოს ლგბტ წარმომადგენელი, ჯანსაღად შერჩენილი ქვეცნობიერი აწამებს და ჰგონია, რომ თუ ყველა მისი მსგავსი იქნება, შინაგანი მარწუხებისგან გათავისუფლდება. არის კიდევ ნიუანსები, მაგრამ ისინი ამ ძირითადიდან გამომდინარეობს.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას — ერთხელ ნაცადი ჰყავთ და იციან, რა ხვითოც არის, მაგრამ მისი შემცვლელი ვერ გამოძებნეს, ვერ ნახეს საქართველოში მისი მსგავსი თავზეხელაღებული, რომელიც, ამავდროულად, არაერთი ისეთი თანდაყოლილი თვისების მატარებელი იქნებოდა, რომ დიდ საქმეებში ნაკლებად ჩახედული ადამიანების „წამოკიდებას“ შეძლებდა, — მედროვეებს წამოკიდება არ სჭირდებათ, თვითონ მიეტმასნებოდნენ, ამას კი თავისთავად მიჰყვებოდა რუსეთისთვის სანქციების დაწესებაც და მისთვის ომის გამოცხადებაც.

საქმე გართულებული აქვთ — რეზიდენტი ზურაბიშვილი აქამდე შეიწყალებდა ნაპრეზიდენტალ რეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ ამით რა? სააკაშვილი მაინც დარჩება პატიმრობაში, თუ პატიმრობა ჰქვია კანონის გვერდის ავლასა და შერჩევით სამართალს — ჯანმრთელი ადამიანის კლინიკაში ყოფნას, რადგან მასზე სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. დამკვეთები ბევრს ეცადნენ, ხან დემარშით იარეს აკიდოსავით ახუნძლულმა ელჩებმა იუსტიციის მინისტრთან, ხან სააკაშვილის ავადობით სასპეკულაციოდ მისგან აღებული და მოპარული ბიოლოგიური მასალა იტენეს წინდებში და ხან რა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, აღმოჩნდა, რომ ხალხისა და ქვეყნის წინაშე დამნაშავე უსამშობლომ პასუხი უნდა აგოს — ჯერჯერობით, კომფორტულ გარემოში...

გამობრძანდა ბატონი პრემიერი და ქართულ ენაზე უმარტივესად ჩამოაყალიბა იგივე, რაც კრებსითმა ბორელებმა საქართველოს დასაშანტაჟებლად თქვეს; რაც კრებსითმა უსამშობლოებმა მოითხოვეს; რაც რეზიდენტმა სალომემ მოითხოვა და ჰოი, საოცრებავ, „ქართულმა ოცნებამ“ სამწუხაროდ, ევროპული გზიდან გადაუხვიაო.

გამოვიდა ერთ-ერთი მთავარი უსაქმური, შარლ მიშელი და განაცხადა, ევროკავშირის გაფართოება 2030 წლამდე არ იგეგმება, 2030 წელს კი მზად უნდა იყოს ახალი წევრების მისაღებადო;

გამოვიდა მეორე უსაქმური, პაველ ჰერჩინსკი და განაცხადა, ევროკავშირმა საქართველოს გაწევრიანების პროცესი მიმდინარე წლის ივნისში შეაჩერა, მაგრამ ისევ ველოდებოდით არჩევნებსო;

კიდევ ბევრი უსაქმური გამოჩნდა, იმათაც იგივე თქვეს და 26 ოქტომბრის შემდეგ მეტიც დააყოლეს — რევოლუციისკენ მოუწოდეს უსამშობლოებს, ახლა კი განტევების ვაცად „ქართული ოცნების“ გამოყვანას ცდილობენ ბატონი ირაკლი კობახიძის მეთაურობით, ამ ყველაფერს კი წითელ ზოლად გასდევს „ბიძინა ივანიშვილის რუსული მთავრობა“. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ქართული სპეცდანიშნულების რაზმიც „რუსულად“ გამოაცხადეს, პუტინს უთხოვებია, რუსულად ლაპარაკობენო — მორიგი სატყუარა ბრიყვი ურაპატრიოტებისთვის...

რეალურად, ასეთი ქართული, ღირსეული და ამაყი ერის სათქმელი სიტყვა, რაც ბატონი პრემიერის პირით ითქვა, პირადად მე, 30 წელია მენატრებოდა, კონკრეტულად ევროკავშირთან დაკავშირებით კი, მოკლედ და კატეგორიულად.

ირაკლი კობახიძე: „ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებმა ევროპარლამენტი აქციეს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟის შიშველ იარაღად, რაც ევროკავშირის უდიდესი სირცხვილია.

ყველას გვახსოვს, თუ როგორ იქნა გამოყენებული კანდიდატის სტატუსის საკითხი საქართველოს დასაშანტაჟებლად, ქვეყანაში არეულობის შემოსატანად და საზოგადოების გასახლეჩად. უკრაინაში ომის დაწყების ფონზე, იმ დროს, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა სიმშვიდე, ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილმა კანდიდატის სტატუსის თემა ქვეყანაში რევოლუციის მოწყობის მცდელობისთვის გამოიყენა. აღნიშნულ რევოლუციის მცდელობაში ღიად იყვნენ ჩართული ორგანიზაციები, რომლებიც ევროკავშირიდან იღებენ დაფინანსებას. თითქმის 2 წლის განმავლობაში, კანდიდატის სტატუსის თემა გამოიყენებოდა საქართველოში რადიკალიზმისა და ე. წ. პოლარიზაციის გაღვივების მთავარ ინსტრუმენტად.

ახლა ამ ადამიანებმა კანდიდატის სტატუსი მოლაპარაკებების გახსნით ჩაანაცვლეს. მოლაპარაკებების გახსნა დღეს ზუსტად ისე-

14 გვ.

პირამიდები – დიდი საიდუმლოს მატარებელი ნაგებობები

(დასასრული.
დასაწყისი იხ. „ს.გ.“ N 39)

სიტყვა „ნიბირუ“ შუმერულად „შეხვედრის ადგილს“, „გადასვლის ადგილს“ ნიშნავს. ახლანდელი ერაყის ტერიტორიაზე (რომელიც კოლხეთის ცივილიზაციას ეკუთვნოდა) ნაპოვნია შუმერული ცივილიზაციის (თუ ძველი კოლხური? „კოლხუა“ ერქვა ერაყის დედაქალაქს, ანძარე („ღვთის კაცი“) ერქვა მეფეს, ძვ. წ. აღ-ით 3185 წლიდან 3120 წლებში მეფობდა) არტეფაქტი, წრიული ფორმის თიხის ფირფიტა, რომელიც იმდროინდელი „კოსმოსური ხომალდების მართვის სახელმძღვანელოა“. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ის ასევე შეიცავს ინფორმაციას შუმერების ღმერთების ნიბირუზე გაფრენის მარშრუტის შესახებ.

პლანეტა ნიბირუ ძველ შუმერულ ჩანაწერებში X სიმბოლოთი არის გადმოცემული (სხვათა შორის, X სიმბოლო პირამიდის ზედხედის აღმნიშვნელია პიქტოგრამებში) და მისი მდებარეობის დადგენა ამ ჩანაწერების შესწავლითა და ცილინდრის ფორმის შუმერული ბეჭდით არის შესაძლებელი, რომელიც ჩვენს ერამდე მე-5 ათასწლეულით არის დათარიღებული.

ის, რომ ნიბირუ შუმერების ფანტაზიის ნაყოფი არ არის და მართლაც არსებობს, უახლესი კვლევებით მტკიცდება. კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერებმა მაიკლ ბრაუნმა და კონსტანტინ ბატიგინმა წარმოადგინეს მზის სისტემაში მე-9 პლანეტის არსებობის მტკიცებულება. ეს პლანეტა მზიდან უფრო მეტად არის დაშორებული, ვიდრე პლუტონი. მისი დანახვა ჯერჯერობით კვლავ შეუძლებელია, მაგრამ მისი დანახვა შესაძლებელი გახდა შორეულ კოსმოსში მცირე ზომის ციურ სხეულებზე დაკვირვებით. მეცნიერების მტკიცებით, პლანეტა X-ის მასა დაახლოებით 10-ჯერ აღემატება დედამიწის მასას (მ. ბრაუნისა და კ. ბატიგინის კვლევები დეტალურად არის გამოქვეყნებული **Astronomical Journal**-ში).

ბავშვობაში მეც მჯეროდა რომ ჩემი დიდი წინაპარი მაიმუნი იყო, შემდეგ ხიდან ჩამოვიდა, კუდი მოსძვრა, ჯერ ჯოხი აიღო და ა. შ. ნელ-ნელა გონება გაეხსნა და ცივილიზაციები შექმნეს ამ მაიმუნებმა. ევოლუციის თეორია რომ სიბრიყვეა, პირადად მე აბსოლუტურად ვეთანხმები, მაგრამ ის მაინც ვიკითხოთ, საიდან გაჩნდნენ თვით ის მაიმუნები და მათ გარდა, კიდევ უამრავი ძვლოვანი აგებულების ცხოველი?

ძვალი რა შუაშია? თავშია! ადამიანის ძვალი ისეთი ელემენტებისგან შედგება, რომელი ელემენტებიც დედამიწაზე საერთოდ არ არსებობს, არ მოიპოვება. ამ საკითხზე ყველა „დარვინისტი მეცნიერი“ დუმს. რა თქმა უნდა, თუ ვაიმეცნიერები საჯაროდ აღიარებენ, რომ ძვალი არამიწიერი წარმოშობისაა, ყველა მათგანმა უნდა უარყოს საკუთარი მეცნიერობა და რაიმე სხვა საქმით, ვთქვათ, მიწათმოქმედებით დაკავდეს, ასე უკეთ გაისიგრძეგანებს, როგორ მოსძვრა კუდი მის წინაპარს და როგორ განვითარდა ნელ-ნელა...

დღემდე ღიად რჩება საკითხი, საიდან „მოვიდა“ დედამიწაზე ადამიანის ძვალი? ამ სიტყვების შემდეგ, ალბათ, ყველა ცნობისმოყვარე ძვლის შემადგენლობის შესწავლას დაიწყებს, მაგრამ იმედგაცრუებული დარჩება, რადგან აღწერილობაში „ძვლის ქიმიური შემადგენლობა“ ამოკითხავს მხოლოდ იმას, რომ ძვალს სიმტკიცეს და სიმაგრეს აძლევს არაორგანული ნივთიერება — კალციუმის კარბონატი და კალციუმის ფოსფატი, ხოლო ორგანული ოსეინი, ძვალს მოქნილობასა და დრეკადობას აძლევს.

ოფიციალური მეცნიერება დღემდე არ ასაჯაროებს, რა ცოდნას ფლობს ძვლის შესახებ, რადგან ელემენტარულ შეკითხვაზე ვერ სცემენ პასუხს: რატომ არ იხრწნება მიწაში ძვალი მილიონობით წლის განმავლობაში, როდესაც რკინაც კი მტვრად იქცევა რამდენიმე ასწლეულში; რა შენაერთია ასეთი ძვალში, რომ სრულებით არ ემორჩილება „ბუნების“ კანონებს; და რატომ არ ემორჩილება, არამიწიერი წარმოშობის ხომ არ არის და იმიტომ?

ამრიგად, ზღაპრების მოყვარულებს იმედის გაცრუება ელით, რადგან გაიგებენ, რომ ადამიანი არანაირი მიწისგან მოზელილი არ არის...

ეს ყველაფერი — კარგი, მაგრამ კოლხებს რა კავშირი ჰქონდათ ცასთან, რა ცოდნას ფლობდნენ, ვის უშენებდნენ ენერგიის წყაროებს, როცა ძველი კოლხური ცივილიზაცია ყველა სხვა ცივილიზაციაზე დიდი ხნით ადრე არსებობდა, კვლავ საიდუმლოებითაა მოცული...

როგორც ითქვა, ეგვიპტის პირველი ფარაონის, ნარმერის ანუ მენესის სატახტო ქალაქი თინი იყო (ზემო ეგვიპტეში), მაგრამ ქვემო ეგვიპტესთან ბრძოლის პერიოდში მისი ძირითადი ადგილსამყოფელი მემფისი გახდა, რომელიც ქაიროდან 15 კმ-ში მდებარეობდა. VI დინასტიის დროს ქალაქს (სამეფოს) ეწოდა „მენფე“ („მენესის უმშვენიერესი სამყოფელი“); კოპტურ ენაში ქალაქს უწოდეს „მეფისი“.



განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 18-19 წლის მონარქის თუთანხამონის აკლდამა ძველი ფივის ახლოს (გარდაიცვალა თითქმის 3300 წლის წინათ), რომლის ერთ „ოთახში“ ოქროს 100-ზე მეტი ნივთი აღმოჩნდა, რომელსაც კარებიც ოქროსი ჰქონდა. იდგა ოქროს კიდობანი, რომლის სიგრძე 5 მეტრი, სიგანე 3,70 სიმაღლე კი 2,73 მეტრი იყო. კიდობნის დაშლას 84 დღე მოანდომეს. კიდობანში იყო ახალგაზრდა ფარაონის 1,85 მეტრი სიმაღლის ოქროს სკულპტურული გამოსახულება... არქეოლოგიური გათხრები, რომელიც ექვს წელზე მეტხანს გაგრძელდა, 1922 წელს დასრულდა. სამუშაოების მწარმოებელი ინგლისელი არქეოლოგი ჰოვარდ კარტერი წერდა, რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფარაონის სიმდიდრე, რომელიც ერთ დროს „მეფეთა ველზე“ ინახებოდა? აქ დამარხული 27 მონარქიდან ტუტანხამონი ხომ ყველაზე უმნიშვნელო მმართველი იყო... უმთავრესი კი ის არის, რომ მთელი ის სამკაულები, რაც „ოთახში“ აღმოჩნდა, კოლხური წარმომავლობის იყო, როგორც ოქრო, ისე — სტილი...

ცნობილია ისიც, რომ ძველი კოლხები ცხოვრობდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე, ბაბილონში, სირიაში და სხვაგან. ზოგი მკვლევარი (ჰეროდოტეს „ჩვენების მსგავსად“) იმასაც ამბობს, რომ ქიმეთი (ეგვიპტე) კოლხური ქვეყანაა და ეგვიპტელები და კოლხები ერთი ხალხი იყო. საინტერესოა, ხომ არ არის რაიმე სხვა საიდუმლო ჰეროდოტეს ნათქვამში, როდესაც კოლხებს და ეგვიპტელებს ერთ ხალხს უწოდებდა, ნათესავებად მიიჩნევდა?

ფაქტები, არტეფაქტები და კითხვები უამრავია, უტყუარი დასკვნები კი — მცირე...

მაკა ჯაყელი

მავანთათვის ამაზრზენი სიტყვა – ღირსება

← 13 გვ.

ვე გამოიყენება ჩვენი ქვეყნის დაშანტაჟებისა და საზოგადოების გახლეჩის ინსტრუმენტად, როგორც მანამდე კანდიდატის სტატუსი გამოიყენებოდა.

ამასთან, საქართველოს სთხოვენ არა რეფორმებს, არამედ მხოლოდ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ღირსებაზე უარის თქმას ნიშნავს. ეს არის „ენჯეოების“ გამჭვირვალობის შესახებ კანონის გაუქმება, ლგბტ-პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის გაუქმება, სანქციების დაწესება და საქართველოს ეკონომიკის ჩვენივე ხელით ჩამოშლა, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება და სხვ.

ჩვენ მხოლოდ ღირსებით ვივლით წინ ევროკავშირისკენ!

საქართველო მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო“.

დიახ, მხოლოდ ღირსებით!

რა გაიგონეს ბატონი პრემიერისგან ასეთი სასწაული, რომ ქუჩაში გამოცვივდნენ?!

მან თქვა მავანთათვის ამაზრზენი სიტყვა — ღირსება!

მან თქვა მაგანთათვის უჩვეულო სიტყვები, რომ საქართველო არავის დაშანტაჟებინებს თავს!

მან თქვა მტკიცე — არა! კმარა!

მან მოითხოვა სწორება მხოლოდ საქართველოზე!

ბატონი კობახიძის სიტყვებმა, რაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ერთიანი მიდგომაა, შოკში ერთნაირად ჩააგდო მტერ-მოყვარე. საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ განაჩენი ღიად და მსოფლიოს გასაგონად გამოუტანა კრებსითი დასავლეთის „დემოკრატიულ“ შანტაჟს!

არ ვარ ისეთი მოკლე თვალსაწიერის, რომ, თუ ნიანგმა ჩემი მტერი შეჭამა, ნიანგი ჩემი მეგობარი მეგონოს, — საქართველოს მოყვარე არასდროს ჰყოლია და არც ახლა ჰყავს, მაგრამ შეძახილები: ყოჩაღ, საქართველო! ყოჩაღ, ქართველებო! — მომწონს და მაფიქრებინებს, რომ ამ პოზიციის გამომხატვი ქვეყნები და ცალკეული პირები მტრულ ქვეყნად აღიარებული ქვეყნებიდან, საქართველოს მტრები არ არიან...

იანვრის ბოლომდე, როგორც ამბობენ ხოლმე, ფეხით ჩამოკიდებულებიც გავძლებთ, გაუძლებთ ყველანაირ ხელოვნურად გამოწვეულ და დადგმულ სცენარებს, შემდეგ კი ღირსეული თანამონაწილეები ვიქნებით იმ ახალი გარემოებებისა, რაც მსოფლიო პოლიტიკაში გადაჯგუფდება, გადასხვაფერდება, დალაგდება...

P.S. 16 დეკემბერს ევროკავშირის 27 უსაქმური წევრის საგარეო საქმეთა საბჭოს შეხვედრაზე საქართველოს საკითხი უნდა განიხილონ, როცა თავიანთი ქვეყნები თავზე ემხობათ რა თქმა უნდა, უვიზო მიმოსვლის შეწყვეტასაც გადაწყვეტენ, ეს ხომ ერთ-ერთი „მეგობრული აქტია“, მანამდე კი „მაიდანი კიდევ სცადეთ“ იქნება.

უვიზო მიმოსვლას შეაჩერებენ თუ არა, ვნახავთ, მაგრამ ერთხელ ვერავის ჩამოვაწერინე ერთ მხარეს ევროკავშირის წევრობის სიკეთეები და მეორე მხარეს მავნებლობები, რომ შედარება შეეძლოს ადამიანს, განსაზღვროს, ევროკავშირის წევრობა სარგებლობას მოუტანს თუ დააზარალებს საქართველოს?

სამაგალითოდ დიდი ბრიტანეთი მიდევს წინ, ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი, რომელმაც საკუთარი „ქმნილება“ იმ მიზეზით დატოვა, რომ მათ ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და კიდევ ის ევროპული ქვეყნები, რომლებიც აღარ სურთ ევროკავშირის წევრობა და ხმამაღლა აცხადებენ რომ გარკვეული მოცემულობების ასე დატოვების შემთხვევაში, ამ კავშირიდან გავლენ.

ვეჭვობ, 2030 წლისთვის ან საქმიან პარტნიორებს დავკარგავთ, ვთქვათ, ჩინეთის და არა მხოლოდ მისი სახით, ან ევროკავშირზე ბოდვას დავასრულებთ...

ნინო დაუშვილი

facebook

ბონდო მძინარაშვილი

მეოთხე დღეა, მანიაკების ნაცსექტა რევანშის აღებას ცდილობს!

ეს არ არის ახალგაზრდების გულწრფელი პროტესტი!

ეს არის ნაცსექტის და ლიბერფაშისტების უკანასკნელი გაბრძოლება!

ყველა გამოვლინდა!

მათ შორის, საჯარო სამსახურებში ჩაბუდებული ნაცსექტანტებიც!

ეს პროცესი არის სრული ლუსტრაცია!

ამ პროცესიდან საქართველო ან საბოლოოდ გამარჯვებული გამოვა, ან... საერთოდ გაქრება!

გიორგი ჩაკვეტაძე:

მეგობრებო, ის ქაოსი, რომლის შემოტანასაც ოპოზიციური პარტიები ცდილობენ, რისკის ქვეშ აყენებს არამხოლოდ საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, არამედ მოქალაქეებისა და, მათ შორის, ბავშვების ჯანმრთელობას.

კლასიკური ნეოფაშისტური ,,ბულინგი", რაც დღეს რამდენიმე უნივერსიტეტსა და სკოლაში შეიმჩნევა, კოორდინირებულია კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების მიერ და საფრთხეს უქმნის განათლების სექტორს.

ეს ის ხალხია, ვინც პოლიტიკური მიზნების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტების სამთავრობო პროგრამაშიც კი არ ჩაერთო.

საქართველოს კანონებით ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ, დაცულია აკადემიური თავისუფლება. საგანმანათლებლო დაწესებულებაში არავის აქვს უფლება, მოგიწოდოთ, დააფიქსიროთ თქვენი პოლიტიკური შეხედულება, ან შეწყვიტოთ სწავლა.

უფრო მეტიც, არასაპატიო მიზეზით საგანმანათებლო პროცესის ჩაშლა დაწესებულებების შინაგანაწესისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

სწავლის შეწყვეტისკენ მოგიწოდებენ ადამიანები, რომლებიც სხვისი ხელით ცდილობენ, პარლამენტი და მისი მიმდებარე ტერიტორია გადაწვან, ქვები ესროლონ და ცეცხლი წაუკიდონ პოლიციას, ძალადობრივად დაამხონ არჩეული ხელისუფლება და საფრთხის ქვეშ დააყენონ ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი, ევროპული განვითარება.

გთხოვთ, დაიცვათ კანონი და არ დაუშვათ საბოტაჟი საგანმანათლებლო სივრცეში.

ჩვენ თქვენ გვერდით ვართ! არავის მისცეთ უფლება, სწავლის მიღება აგიკრძალოთ. თითოეულ ამ შემთხვევაზე შესაბამისი რეაგირება გვექნება!

დარწმუნებული ვარ, გელათისა და იყალთოს აკადემიების შემქმნელი საზოგადოება ამ გამოწვევასაც ღირსეულად გაუმკლავდება.

გიორგი იაკობაშვილი:

პარლამენტის დაწვა-დარბევა გამოხატვის თავისუფლებაა?

კი ბატონო!

ე. ი. მე და ჩემ მეგობრებს სრული უფლება გვაქვს, შევიკრიბოთ კახეთის გზატკეცილზე, "ნაციონალური მოძრაობის" ოფისი გადავწვათ და ასე გამოვხატოთ პროტესტი სანდროსთვის, ბუტასთვის, გიორგისთვის, როინისთვის, ცხინვალისთვის, თამარაშენისთვის...

სისხლისთვის, ცრემლისთვის და ტკივილისთვის!

ნადირობის სეზონი გაიხსნა?

მოტივაციაც გვაქვს და არც რაოდენობას ვუჩივით.

2012 წელს ბევრი დაპირება იყო, მაგრამ, მთავარი იყო "ნაციონალური მოძრაობის" დასრულება.

ის უნდა დასრულდეს ყველგან, მაგრამ, პირველ რიგში - საგარეო საქმეთა და განათლების სამინისტროებსა და პროკურატურაში.

ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა, ჩვენ გარშემო უნდა დავასრულოთ ის საშინელი კინო - სისხლიანი 9 წელი, რომელიც კვლავ გრძელდება და ყოველ დღე მორიგ სერიას ვადევნებთ თვალს.

ჩხუბი მორევაზეა?

ოკ.

ოღონდ, მერე არ თქვან, ჩვენზე მეტნი იყვნენო. დიახ, ბევრად მეტნი ვართ და ეს მშვენივრად იციან მეტიუ მილერმა, ლევან ხაბეიშვილმა და პაველ ჰერჩინსკიმ.

კახეთის გზატკეცილზე გავიდეთ, თუ აქვე მივაკითხოთ ხაზარაძეს და კომპანიას?

ია მეტრეველი:

მივმართავ ხელისუფლებას! სასწრაფოდ აიყვანეთ ლიდერები და არასამთავრობოების ხელმძღვანელები, ვისაც შეცდომაში ჰყავთ შეყვანილი ახალგაზრდები, მოზარდები და ხალხი. ეს უბედურება, რაც ქუჩებში ტრიალებს, მათი დამფინანსებლების მიერ გარედან დაწერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. უკვე ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, სამოქალაქო ომისკენ მიჰყავთ ყველაფერი. ხალხი თავს ძლივს იკავებს რომ არ გამოუვარდნენ ამ მცირეოდენ, შეცდომაში შეყვანილ ხალხს. რაც ნამდვილად არ უნდა მოხდეს. შევთხოვოთ უფალს, დაიფაროს ჩვენი ქვეყანა!

სანდრო ჯღარკავა:

გაფაციცებით ვუყურებ პირდაპირ ეთერს, რამე არ გამომრჩეს... მშვიდობიანი აქციაა, - ამბობს ჟურნალისტი. კადრში ჩანს, ტიპი მიდის და პარლამენტის შენობის შუშებს ამტვრევს, ვხედავ...ესეთი მშვიდობიანი აქცია ჯერ არ ყოფილა, - ამბობს ჟურნალისტი, ამ დროს ვუყურებ, ბავშვები პოლიციელებს დამიზნებით ესვრიან ქვებს და ასაფეთქებელ საშუალებებს... აი, ხატებით ხელშია მოქალაქე, - ამბობს ჟურნალისტი. მე კი ვხედავ პოლიციელის დასისხლიანებულ სახეს ეკრანზე... მაინტერესებს, დებილი ვარ?!

მოქალაქე:

გულწრფელ და პატიოსან ბავშვებზე არ ვწერ. აქ არ შემომიხტეთ ახლა არავინ.

ჩემი სასტუმრო ხომ თაბუკაშვილზეა. მითრეულა ღამე ჯგრო და 75 წლის ქალს, ჩემს დედამთილს უთხრეს, შეგვიშვი ოთახებშიო... ქალმა უთხრა, არ მაქვს ადგილიო... (არ იყვნენ ადრკვატურები სახეზე და შემეშინდაო). ადგილი არ გაქვსო... შენი დედაო... შენნაირები ღუპავენ ამ ქვეყანასო... შენი თაობა უნდა ამოწყდეთო...

შენ უნდა ჩაკვდე აქო... გაეთრიენ გარეთ და სულ კვერცხები დაუნიშინეს იქაურობას, გარეთ ეზოში რაღაცას ცეცხლი წაუკიდეს, ზაირა გავარდა და აქრობდა...

ასეთი ნაბიჭვრები საცემები კი არა, ვირის აბანოში ხართ ჩასაყრელები.

უფროს-უმცროსი არ იცით... ქალი არ იცით, ბებიის ტოლი ქალი რა დღეში ჩააგდეთ და სამშობლოს სიყვარული იცით?

მოკლედ, იქ ნორმალურ და პატიოსან ხალხთან ერთად ასეთი უსამშობლო, ოჯახში არგაზრდილი შპანა დგას და იცოდეთ.

ეგენი იარაღისაც გაისვრიან ... ჰკიდიათ ყველაფერი... ახლა ჩავდივარ, იქაურობა უნდა დავხეხო... ნეტა რომელიმე შემხვდეს... - წერს მოქალაქე სოციალურ ქსელში.

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო სალომე, პრეზიდენტო!

თქვენ გენდოთ და პრეზიდენტად აგირჩიათ ქართველმა ხალხმა 2018 წლის 16 დეკემბერს. თქვენი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენა პოლიტიკურმა გაერთიანება ,,ქართულმა ოცნებამ", რა თქმა უნდა, ამ პარტიის ფუძემდებლისა და ორგანიზატორის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის წინადადებითა და რჩევით. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ თქვენ გახდით საქართველოს პრეზიდენტი. ამას ყველა ხედავდა და ხედავს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თქვენ გაგეგრძელებინათ ერთგული თანამშრომლობა იმ გუნდთან, რომლებმაც პატივი დაგდოთ, თქვენ დაუპირისპირდით არა მხოლოდ ,,ქართულ ოცნებას", თვით ბატონ ბიძინა ივანიშვილს, თქვენ დაუპირისპირდით ქართველ ხალხსაც და შეურაცხყავით ისინი, რაც ძალიან ცუდად გამოჩნდა ქართველი საზოგადოების თვალში. ამით თქვენ დაკარგეთ ქართველი და არა მარტო ქართველი ამომრჩევლის სიმპათიები და რეიტინგი.

ამჟამად არსებულ უკიდურესად კრიტიკულ სიტუაციაში, რომელიც შეიქმნა უკანასკნელი პერიოდის საქართველოში, ეს ყველაფერი მოსახლეობას უკარგავს ნდობას, როგორც თქვენი საპრეზიდენტო ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ, მით უფრო, რადიკალური ოპოზიციის მიმართ, რომლის ლიდერობაც თქვენ აიღეთ თქვენ თავზე და შემდეგაც მოსახლეობას თქვენი მოღვაწეობის მიმართ კიდევ უფრო გაუცრუვდა იმედი და ,,ქართულ ოცნებას" კი არ დაუპირისპირდა, არამედ უფრო მეტი მხარდაჭერა გამოუცხადა მას, მის სწორ სამშვიდობო პოლიტიკას.

სამწუხაროდ, თქვენ ეს რეალობა ვერ გაიგეთ და თქვენ შეცდომებზე კი არ დაფიქრდით, არამედ ქართველი ხალხი დაადანაშაულეთ, რომ რადიკალურ ოპოზიციას არ დაუჭირა მხარი რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმაში და არჩია მშვიდობის შენარჩუნება საქართველოში და ეროვნული ღირსების და ღირებულებების დაცვა.

ქართველი ხალხი არის მიმნდობი და არა უგუნური! 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში ,,ქართული ოცნების" არჩევით ქართველმა ხალხმა კი არ დაუშვა შეცდომა, არამედ სწორად გაარჩია სიტუაცია. თქვენ მხარი დაუჭირეთ ქართველი ხალხის ჩაბმას ომში. ქართველი ხალხს თქვენგან შეურაცხყოფა არ დაუმსახურებია. მოგიწოდებთ, მოიხადოთ ბოდიში და თქვენს ,,რადიკალურ მხარდამჭერებსაც" მოუწოდოთ ბოდიშის მოხდისკენ.

რამაზ ბეჟანიშვილი

არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,ერისშვილების" თავმჯდომარე

ნატო-ში უკრაინის გაწევრიანება მსოფლიოსთვის სახიფათოა

მსოფლიოში საგანგაშო ვითარებაა, რადგან აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ლიბერალიზმისა და ფაშიზმის მიმდევრები. მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირებიც. მათ ერთი მიზანი აქვთ — რაც შეიძლება დიდი ომის კოცონი ააგიზგიზონ, რათა მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას დიდი დრო დასჭირდეს. რადიკალიზმი ადრე თუ შეფარული იყო, ახლა აშკარა გახდა.

ომების, სამხედრო კონფლიქტების შეჩერების ნაცვლად, გავლენიანი პოლიტიკოსები მათ ახალისებენ კიდეც, სხვას ვერაფერს დაარქმევს მათ ქმედებებს ადამიანი, რადგან ევროკომისიის ახალარჩეულმა ხელმძღვანელებმა საქმიანობა კიევში ვიზიტით დაიწყეს, სადაც უკრაინის „ვადაგასულ“ პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის შეხვდნენ. როგორც დასავლელი მიმომხილველები ვარაუდობენ, უკრაინელებს ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდეს.

დიახ, ზელენსკის პრეზიდენტობის ვადა ჯერ კიდევ მაისში ამოიწურა, მაგრამ არჩევნები მარტი-აპრილის პერიოდში არ დანიშნა და, ფაქტობრივად, თანამდებობა მიისაკუთრა. მიუხედავად ქვეყნის კონსტიტუციის იგნორირებისა, დასავლეთში, კერძოდ, აშშ-სა და ევროკავშირში ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ და დასაშვებადაც კი მიიჩნევენ.

პოლიტიკოსების სურვილი ერთია, მაგრამ ამერიკელი და ევროპელი სამხედრო ექსპერტები უკვე ღიად საუბრობენ შექმნილ საგანგაშო ვითარებაზე, არ გამორიცხავენ ფრონტის ჩამოშლას, რასაც უკრაინის განადგურება მოჰყვება. კიევის ხელისუფლება წარუმატებლობას შეიარაღების ნაკლებობით ხსნის და მოკავშირეებისგან იარაღის დამატებით მიწოდებას ითხოვს. სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უკრაინის არმია ცოცხალი ძალის დეფიციტს განიცდის. მათი შეფასებით, შესაძლოა, მოკავშირეებმა მიაწოდონ შეიარაღება, მაგრამ ვინ უნდა გამოიყენოს, ამას ვერ ამბობენ. ამიტომაც მოსთხოვეს ზელენსკის, მობილიზებულთა ასაკი 25-იდან 18 წლამდე შეამციროს.

ყოფილი და მოქმედი დასავლელი სამხედრო ოფიცრები ეჭვით უყურებენ იმ გარემოებას, რომ მობილიზებულთა მეშვეობით უკრაინის არმია ფრონტზე რაიმე წარმატების მიღწევას შეძლებს. ამის გარდა, უკრაინაში დღეს მობილიზაცია ძალადობრივი მეთოდებით ხორციელდება, ამიტომაც გახშირდა დეზერტირობაო, აცხადებენ ექსპერტები.

„განკითხვის დღის“ იარაღი, რომელიც რუსეთმა დნეპროპეტროვსკში გამოიყენა, ერთგვარი ძალის დემონსტრირებაც გახლდათ. რუსეთს შეუძლია, ევროპის ნებისმიერ წერტილში დაარტყას აღნიშნული იარაღით. შედეგები საშინელი იქნება, მაგრამ ნატო-ს ხელმძღვანელობის გაუაზრებელი ქმედებები კვლავ გრძელდება“, — დაწერა ფინელმა გეოპოლიტიკის ექსპერტმა ტუომას მალინენმა. „რუსეთმა უკვე გამოიყენა ისეთი ძალის უახლესი ბალისტიკური რაკეტა, რომლის არსებობაც არავინ იცოდა. ამან ყველა ჩვენგანი უნდა დააფიქროს“, — განაცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა.

ამასობაში უკრაინის მოკავშირე ქვეყნები კვლავაც განაგრძობენ ქვეყნისთვის შეიარაღების მიწოდებას. გასულ კვირას ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯონ ჰელიმ განაცხადა, რომ „უკრაინაში სამხედრო კონფლიქტი უკვე კრიტიკულ ფაზაში შევიდა“. იგი შეხვდა ფრანგ, გერმანელ, პოლონელ და იტალიელ კოლეგებს. მოლაპარაკებების შემდეგ გაიმართა ერთობლივი ბრიფინგი, რომელსაც პირდაპირ ეთერში გადასცემდა ბუნდესტაგის ინტერნეტსაიტი. „ახლა, როდესაც ომი კრიტიკულ სტადიაშია, დროა, ჩვენ ერთად ვიმუშაოთ ნატო-ს აღმოსავლეთ ფრონტის გასამყარებლად“, — განაცხადა ჰილიმ. მისივე თქმით, უკრაინის თავდაცვის მინისტრთან რუსტემ უმაროვთან განიხილა ქვეყნისთვის შეიარაღების ხარჯების გაზრდის საკითხები. ჰილის თქმით, მისი კოლეგები ეთანხმებიან ქვეყნებში სამხედრო ხარჯების გაზრდის აუცილებლობას.

„ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, უკრაინას საშუალო მანძილზე მოქმედი რაკეტები გადასცენ“, — ნათქვამია ალიანსის პრესსამსახურის პრესრელიზში. ასევე, უწყებიან, რომ ნატო მხარს უჭერს უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაზრდას, მაშინ, როდესაც რუსეთი იარაღის მიწოდებას „ცეცხლთან თამაშად“ მიიჩნევს. „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები ღიად დაემუქრენ ჩინეთს და იმ ქვეყნებს, რომლებიც კონფლიქტში რუსეთს ეხმარებიან.

გასულ კვირას G-7 ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა შემაჯამებელ ბრიფინგზე განაცხადა: „მოქმედი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ვადის ამოწურვის ბოლო დღემდე განაგრძობს მოვალეობის შესრულებას“. მისივე თქმით, თეთრი სახლის დღევანდელი ადმინისტრაცია ყველაფერს იღონებს, რათა კიევმა მიიღოს ყველა საშუალება, რაც რუსეთთან ომში სჭირდება და არ გამორიცხავს მოლაპარაკებების დაწყებას.

ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურის (მი-6) ხელმძღვანელმა რიჩარდ მურმა ორაზროვანი განცხადება გააკეთა სააგენტო „როიტერთან“ ინტერვიუში: „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნის სპეცოპერაციის სამმართველო და დაზვერვის სამსახური გაერთიანდა, დღეისთვის ეს დაზვერვის საიდუმლო სამსახურია. ვაფასებთ ჩვენს მემკვიდრეობას საიდუმლო ოპერაციების განხორციელებაში, რომლის მეშვეობითაც მხარს ვუჭერთ და ვეხმარებით უკრაინას“. მან იქვე ხაზგასმით აღნიშნა ჩინეთიდან, ჩრდილოეთ კორეიდან და ირანიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ.

აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავისი ადმინისტრაციის ფორმირება დაიწყო. გასულ კვირას მან უკრაინის საკითხებში წარმომადგენელი დანიშნა. თანამდებობას დაიკავებს გადამდგარი გენერალი კიტ კელლოგი, რომელიც ტრამპის მრჩეველი იყო ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში. სი-სნ-ენ-ის ინფორმაციით, მსგავსი საკადრო გადაწყვეტილება უდავოდ მოეწონება რუსეთს, რადგან კელლოგი მიიჩნევს, რომ აშშ არ უნდა ჩაერიოს კიდევ ერთ დიდ სამხედრო კონფლიქტში. მისივე თქმით, „ნატო-ში უკრაინის გაწევრიანების საკითხი განუსაზღვრელი ვადით უნდა გადაიდოს“.

კიტ კელლოგმა აღიარა, რომ ნატო-ში უკრაინის გაწევრიანება მსოფლიოსთვის სახიფათოა. ამის შესახებ იგი ჯერ კიდევ აპრილში საუბრობდა. მისივე შეფასებით, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი არ დაიწყებოდა, თეთრი სახლის ადმინისტრაციას ხმამაღლა რომ არ განეცხადებინა უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების შესაძლებლობა.

ამერიკელი სამხედრო ექსპერტის დენიელ დევისის შეფასებით, „ჯო ბაიდენმა უნდა შეწყვიტოს უკრაინაში უკვე წაგებული ომის წახალისება. რუსეთზე შეტევა ყველაზე სახიფათო პროვოკაცია იყო ბოლო სამი წლის განმავლობაში“.

ევროპის ქვეყნების მეთაურები ცდილობენ, პირადი კონტაქტები დაამყარონ დონალდ ტრამპთან. გასულ კვირას ავსტრიის კანცლერი კარლ ნეჰამერი ტელეფონით ესაუბრა ტრამპს. „მე შევთავაზე ავსტრია, როგორც ნეიტრალური ქვეყანა და მხარე რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების მოლაპარაკებისთვის. ჩვენ მალე მივედით საერთო აზრამდე, რამდენადაც აუცილებელია ომის დასრულება“, — განაცხადა კანცლერმა.

გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა სახელმწიფო ვიზიტი განახორციელა ყაზახეთში. მასპინძელთან, კასიმ ჯომარტ ტოკაევთან პირველივე დღეს ჰქონდა შეხვედრა. მეორე დღეს კი დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის სამიტი გაიმართა, რომლის წევრებიც არიან ყაზახეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, ბელარუსი, ყირგიზეთი და სომხეთი. სამიტზე განიხილეს რუსეთზე უკვე განხორციელებული და მოსალოდნელი შეტევები. დანარჩენი დეტალები უცნობია. აღსანიშნავია, რომ სომხეთის წარმომადგენელი შეხვედრას არ დასწრებია. შემაჯამებელ ბრიფინგზე პუტინმა განაცხადა: „ჩვენ დახმარებას არავის ვთხოვთ, თუ საჭირო გახდება, იქით დავეხმარებით, ჩვენ ამის რესურსი გაგვაჩნია“.

როგორც ამერიკული პრესა იუწყება, ტრამპის გუნისა და მისი ოჯახის წევრებზე მუქარა ხორციელდება. ამიტომაც იგი მარალაგის რეზიდენციას არ ტოვებს. მართალია, ბაიდენმა და მისმა ადმინისტრაციამ პირობა დადეს ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარებაზე, მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკოსის სიტყვას თურმე ჩალის ფასი ჰქონია, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა. ჯო ბაიდენი ირწმუნებოდა, რომ თავის ვაჟს, ჰანტერს არ შეიწყალებდა და სასჯელისგან არ გაათავისუფლებდა, თუმცა, ორშაბათს შვილი მაინც შეიწყალა, სოცქსელებში კი დაწერა: „იმედია, ამერიკის მოსახლეობა კარგად გამიგებს ამ ნაბიჯს“...

გია ბურდული

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99